ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

იფ,ფბ-რდბჰფ

!-@ ctmntv,thb7 @)!@

1208 (5898)

afcb5 #) stshb

8 აგვისტოდან!

ვფ[ფკბ სფჯ,ფ4

+

ფუფნფრჰბცნბ

* კფჰბ




# ბიძინა ივანიშვილი პრემიერმინისტრობის კანდიდატი, კახი კალაძე — პირველი ნომერი



## დღეებს ვითვლი, როდის წავალ პოლიტიკიდან

გვ.2

ივანიშვილს საქართველოში ყოფნის ვადა 11 ოქტომბერს ეწურება და მას ქვეყნიდან გააძევებენ



გვ.3

## ქართული ოცნება“ არჩევნების შემდგომი არეულობისთვის ემზადება

გვ.5

## ლოპოტას ხეობაში სპეცოპერაცია გრძელდება



## ლაფანყურის ბრძოლა“ — ხელისუფლების შესაძლო მოტივები

გვ.5



## სააკაშვილმა რუსეთის ჯიბრზე გენოციდის აღიარების ციკლი წამოიწყო

გვ.4

## ჩვენთვის არჩევნებზე უპირატესი უსაფრთხოებაა



გვ.3

## სირიის გარშემო შექმნილი ვითარება და კავკასიის რეგიონი — შესაძლებელია რუსეთის სამხედრო გააქტიურება?

გვ.6



## ლეიბორისტები სააკაშვილ-ივანიშვილს მესხეთ-ჯავახეთის გაყიდვაში ადანაშაულებენ

გვ.3

ISSN 1987-9385
9 771987 938006

**2** კოალიციის საარჩევნო სიის 50 პროცენტი პარტიას ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ ერგო

**9** დაღესტანში ტერაქტისთვის ემზადებიან

**6** მსოფლიო ეკონომიკას მკაცრი დაცემა ელის

**5** სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტები აღარ არსებობს

# ბიძინა ივანიშვილი პრემიერმინისტრობის კანდიდატი, კახი კალაძე — პირველი ნომერი



ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების" სიის პირველი ნომერი არა ბიძინა ივანიშვილი, არამედ ყოფილი ფეხბურთელი კახა კალაძე იქნება. როგორც სიის წარდგენისას ჟურნალისტებს ბიძინა ივანიშვილმა დაუდასტურა, ის პრემიერმინისტრობის კანდიდატად რჩება. რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარეობის კანდიდატს, ამის შესახებ „ქართული ოცნების" ლიდერმა განაცხადა, რომ ეს ჯერ საიდუმლოა.

ბიძინა ივანიშვილმა საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების" საარჩევნო სიის პირველი ათეული დაასახელა.

„ქართული ოცნების" პარტიული სიის პირველი ნომერი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კახა კალაძე იქნება. მეორე — მანანა კობახიძე, მესამე — ირაკლი ალასანია, მეოთხე — დავით უსუფაშვილი, მეხუთე — გოგი თოფაძე, მეექვსე — გუბაზ სანიკიძე, მეშვიდე — ზვიად ძიძიგური, მერვე — ვანო კილურაძე, მეცხრე — დავით საგანელიძე და მეათე — ირაკლი ღარიბაშვილი.

ასევე ცნობილი გახდა, რომ სიაში მეთერთმეტეა კობა დავითაშვილი, მეთორმეტე — „სოციალ-დემოკრატი" გია ჟორჟოლიანი, მეცამეტე — „მწვანეთა პარტიის" ლიდერი გია გაჩეჩილაძე, „ქართული ოცნების" პრესსპიკერი მაია ფანჯიკიძე კი მეთოთხმეტეა. შემდგომ სიაში დასახელდნენ — დავით ბერძენიშვილი, ნოდარ ხადური, ნინო გოგუაძე, გელა ხვედელიძე, გია ხეჩინაშვილი, თედო ჯაფარიძე. რაც შეეხება ლევან ბერძენიშვილს, ის სიაში 25-ე ადგილზეა.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, სია სულ 200-კაციანია.

ბიძინა ივანიშვილმა გუშინ კომენტარი 6 პუნქტიან მოთხოვნებზეც გააკეთა. ის ამბობს, რომ ეს მოთხოვნები ლეგიტიმურია და მასში უსაფუძვლო არაფერია. — ხელისუფლებას ჩიორა თაქთაქიშვილის მეთაურობით აქვს არჩევანი ლეგიტიმურ არჩევნებსა და საქართველოში სიტუაციის დაძაბვას შორის, — განაცხადა ივანიშვილმა „ნაციონალური მოძრაობის" სპიკერის ჩიორა თაქთაქიშვილის განცხადების კომენტირებისას.

ივანიშვილის თქმით, „ქართული ოცნების" მიერ წამოყენებულ მოთხოვნებში უსაფუძვლო არაფერი ყოფილა და მისი არსი სულ სხვა რამეში მდგომარეობდა. — მათი შეფასებები არც კი წამიკითხავს, იმდენად არასაინტერესოა ჩემთვის. იმას არა აქვს მნიშვნელობა, რას იზამენ იმას დაველოდოთ. სად წავლენ და რას გააკეთებენ, ეს არის მნიშვნელოვანი. რაც არ უნდა მოხდეს და როგორც არ უნდა მოხდეს. ხელისუფლებას აქვს არჩევანი, რომ ჩავატაროთ არჩევნები, რასაც შეიძლება ლეგიტიმაცია მიეცეს, ან მძიმე დღე ელის საქართველოს. დაიძაბებიან მოქალაქეები, მაგრამ ყველაფერი ჩაივლის მშვიდობიან გარემოში და არავითარი დაპირისპირება არ იქნება. საერთაშორისო თანამეგობრობა და კოალიცია „ქართული ოცნება" ერთ აზრზე ვიქნებით აუცილებლად. ის დარღვევები, უკანონობები, რაც მათ ჩაიდინეს, ძალიან მარტივი გასაგებია ევროპელებისა და ამერიკელებისთვის. დაემორჩილებიან და დაექვემდებარებიან კანონს ან უარესს მიიღებენ, — განაცხადა ივანიშვილმა.

ივანიშვილის განცხადებით, ჩიორა თაქთაქიშვილი არასოდეს უნახავს და მისი სახელიდან და გვარიდან გამომდინარე აინტერესებს, იგი როგორ გამოიყურება. ბიძინა ივანიშვილი ასევე იმითაც დაინტერესდა, თაქთაქიშვილის ნამდვილი სახელია თუ არა ჩიორა.

— რაც შეეხება ჩვენს განცხადებას, მისი არსი მდგომარეობდა იმაში, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ და დამკვირვებლებმა, რომლებიც ნამდვილად დემოკრატიულ ქვეყნებს წარმოადგენენ, იციან კანონის ფასი და ჩვენ ერთი გრამი ეჭვი არ გვეპარება, რომ გვექნება საერთო ხედვა და პოზიცია. ისინი ან ახლავე დაიჭერენ ამ პოზიციას, ან შემდგომში ერთად მოგვიწევს იმ სიტუაციის გამოსწორება, რაც შეიძლება შეიქმნას არჩევნების შემდეგ. დარწმუნებული ვარ, კოალიციას და საერთაშორისო თანამეგობრობას ერთიანი პოზიცია ექნება. მოვუწოდებ, დაემორჩილონ კანონს, წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთარ თავს შეიყვანენ ჩიხში და ჩიორა მათ ველარ უშველის, ჩიტივით სიმღერაც რომ ისწავლოს, — აღნიშნა ივანიშვილმა. გუშინ გამართულ ბრიფინგზე „ნაციონალური მოძრაობის" სპიკერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნება" არა თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში მონაწილეობისთვის, არამედ არჩევნების შემდგომი არეულობის გამოწვევისთვის ემზადება.

ჩიორა თაქთაქიშვილის განცხადებით, ამას კოალიციის ლიდერის მიერ წამოყენებული უსაფუძვლო მოთხოვნები აფიქრებინებს.

ბიძინა ივანიშვილმა ასევე კომენტარი გააკეთა კახა შარტავას გადაწყვეტილებაზე.

— „ეროვნული ფორუმის" ლიდერმა კახა შარტავამ თავად გადაწყვიტა, რომ ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების" საარჩევნო სიაში არ ყოფილიყო, — განაცხადა ბრიფინგზე ბიძინა ივანიშვილმა.

მისი თქმით, კახა შარტავა მაჟორიტარობის კანდიდატთა სიაშიც არ არის. ივანიშვილის განცხადებით, ბლოკის სიით არჩევნებში მონაწილეობას ჯონდი ბაღათურიასაც სთავაზობდა, თუმცა „ქართული დასის" ლიდერმა ბოლო მომენტში უარი თქვა.

პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილმა ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი — ქართული ოცნების" საარჩევნო სიის ათეული დაახასიათა.

პირველ ნომრად კახი კალაძის დასახელების მიზეზები განმარტა. როგორც ივანიშვილმა სიის პრეზენტაციისას განაცხადა, კალაძე ძალიან საინტერესო და დამსახურებული ადამიანია და პირველი ნომრობისთვის აუცილებელ სხვა ფორმალობებსაც აკმაყოფილებს.

— კახი ძალიან სწრაფად იზრდება და ძალიან ნიჭიერი კაცია. ის ძალიან თავდადებულია. პირველი შეხვედრა როდესაც მქონდა, კალაძემ მითხრა, რომ რასაც მეტყვით, სადაც დამაყენებთ, იქ დავდგები, დავდგები თქვენს გვერდით და იქიდან მოყოლებული მუდამ ეს პოზიცია უჭირავს. კალაძე ძალიან თავდადებულია. რატომ კახი პირველ ნომრად? ამ კითხვის პირველი პასუხი ის არის, რომ ძალიან დამსახურებული პიროვნებაა. თუ რამე შეიძლება ადამიანზე კარგი თქვა, კახი ყველაფერს იმსახურებს თავისი წარსულიდან გამომდინარე, თუმცა საკმაოდ ახალგაზრდაა თავისი საქმისთვის. ის, რომ კალაძე პოლიტიკაში ახალი სახეა, ესეც საინტერესოა. აღსანიშნავია, რომ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო" არის ახალი დაფუძნებული და ხალხი ითხოვდა ახალ სახეებს. ხალხს ძალიან უნდოდა ახალი სისხლი და ახალი სახე, ამასაც ძალიან კარგად აკმაყოფილებს კახი კალაძე. ასევე, რამდენადაც ლიდერია ჩვენი პარტია, ბლოკის სიაშიც ლიდერი უნდა ყოფილიყო ჩვენი პარტია. შემდეგ მოდის ასევე გამოუცდელი მანანა კობახიძე და შემდეგ კი ირაკლი ალასანია, რომელიც მესამე ნომერია სიაში, მაგრამ ძველ პოლიტიკოსებში ლიდერია, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ბიძინა ივანიშვილმა კომენტარი გააკეთა გოგი თოფაძის შესახებ. მისი თქმით, გოგი თოფაძემ ადრევე დაუჭირა მხარი კოალიციას.

— რაღაც ეტაპზე გაუჩნდათ ვაკუუმი და პოპულარული აღარ იყო „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", მაგრამ მათ აქვთ კარგი ისტორია და კარგი გამოცდილება. რაც შეეხება „სოციალ-დემოკრატთა" და „მწვანეების" ლიდერებს, გია ჟორჟოლიანსა და გიორგი გაჩეჩილაძეს, მე ორივე მათგანს ძალიან დიდ პატივს ვცემ და მათ პარტიებსაც ძალიან სიმპათიურად მივიჩნევ. ეს არის ის შემთხვევა, როდესაც მათ პარტიებს არ აქვთ დიდი რეიტინგი, მაგრამ აქვთ ძალიან სუფთა ხელწერა თავისი არსებობის მანძილზე, — აღნიშნა ივანიშვილმა.

კოალიცია „ქართული ოცნების" 200-კაციან საარჩევნო სიას დიდუბის მაჟორიტარობის კანდიდატი ვახტანგ ხმალაძე ასრულებს. როგორც ბიძინა ივანიშვილმა სიის პრეზენტაციისას განაცხადა, ხმალაძემ სიის ბოლო ნომრად ყოფნა თავად ისურვა. — ხმალაძე მაჟორიტარობის კანდიდატია დიდუბეში. ის იმდენად დარწმუნებულია თავის გამარჯვებაში, რომ თავად მოითხოვა, ბოლო ადგილი მიგვეცა მისთვის. მეც მჯერა, რომ აუცილებლად გაიმარჯვებს არჩევნებში, — აღნიშნა ივანიშვილმა.



როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიძინა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, „ქართული ოცნება" და საერთაშორისო თანამეგობრობა საერთო ხედვას გამოიმუშავებენ.

მისივე თქმით, ხელისუფლებას მხოლოდ ორი არჩევანი გააჩნია — დაიხიოს უკან და დაემორჩილოს კანონს, ან თუ გააგრძელებენ, ნებისმიერი შედეგები გადახიონ და დაწერონ თავისი.

— რაც არ უნდა მოხდეს და როგორც არ უნდა მოხდეს, მთავარი აქცენტი, რაც გავაკეთეთ ჩვენს გუშინდელ განცხადებაში, არის ის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა და კოალიცია „ქართული ოცნება" ერთ აზრზე იქნება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ის დარღვევები, რაც მათ ჩაიდინეს, ევროპელებისთვის მარტივი გასაგებია. ერთ, საერთო ხედვას გამოვიმუშავებთ, — დასძინა ბიძინა ივანიშვილმა. კოალიციის ლიდერმა ასევე აღნიშნა, რომ თუ ხელისუფლება კანონიერების ფარგლებში მოიქცევა, კარგად იცის, როგორი იქნება ქართველი ხალხის არჩევანი. ივანიშვილმა ისიც აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში, მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდის წევრები „შეინარჩუნებენ იმას, რომ ღირსეულად საქართველოშიც იცხოვრონ და გარეთაც გაესვლებოდეთ".

— იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელწერით გააგრძელებენ და ასეთი ნგრევით ჩავლენ ბოლომდე, რა თქმა უნდა, არავინ არაფერს არ გაუფორმებს. რესურსები მათ არ აქვთ. რისთვისაც ეს კაცი ასე იბრძვის — არც შიგნით და არც გარედან შესაბამისი მხარდაჭერა არ ექნება. ქართველ ხალხს ჯარი და პოლიცია არ დაუპირისპირდება. ვაკუუმი შეიქმნება, იმ ვაკუუმში ექნება გარედან იზოლაცია. მას არც ნავთობი აქვს, არც ფინანსური ნაკადები არ გააჩნია სხვა დიდი სახელმწიფოების მსგავსად, რომლებიც ახერხებენ, არ დაემორჩილონ ევროპასა და ამერიკას, საერთაშორისო თანამეგობრობას. მისი კოზირი მოსვლის დღიდან არის დემოკრატია. როგორც კი ამაზე უარს იტყვის, მომენტალურად საკუთარ მომავალს გაინადგურებს, მაგრამ საქართველოს და ქართველ ხალხს ველარაფერს ველარ დააკლებს, — განაცხადა ივანიშვილმა.

— კოალიცია „ქართული ოცნების" სიის პირველი ნომერი კახა კალაძე მზადაა დებატებში დაჯდეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" სიის

გაგრძელება მე-3 გვერდზე

## კოალიციის საარჩევნო სიის 50 პროცენტი პარტიას ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს" ერგო



კოალიცია „ქართული ოცნების" საარჩევნო სია ჯანსაღი დისკუსიისა და კამათის საფუძველზე შედგა. ამის შესახებ ჟურნალისტებს ბიძინა ივანიშვილის პრესპიკერმა მაია ფანჯიკიძემ განუცხადა და ის პრინციპები განუმარტა, რის მიხედვითაც გადანაწილდნენ საარჩევნო სიაში კანდიდატები.

მისი განმარტებით, ახალ პარტიას „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო" ერგო სიის 50 პროცენტი, რაც ფანჯიკიძის თქმით, ზუსტად არის დაცული და სიაში ამ პარტიიდან 100 კანდიდატი არის წარმოდგენილი.

„დანარჩენ პარტიებს შეხვდა სიის 10-10 პროცენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ სიაში ჰყავთ 20-20 კაცი. შემდეგ შემუშავდა, როგორ უნდა ყოფილიყვნენ გადანაწილებულნი პარტიები და ამის მიხედვით თავად პარტიებმა წარმოადგინეს სიები", — განაცხადა მაია ფანჯიკიძემ და დასძინა, რომ ყველაფერი დემოკრატიულად გადაწყდა.

მედიანიუსი

## ივანიშვილს საქართველოში ყოფნის ვადა 11 ოქტომბერს ეწურება და მას ქვეყნიდან გააძევებენ

კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერს ბიძინა ივანიშვილს არჩევნებიდან რამდენიმე დღეში, 11 ოქტომბერს, როგორც ევროკავშირის მოქალაქეს, საქართველოში ყოფნის ვადა ეწურება.

ამის შესახებ „მედიანიუსს" დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ განუცხადა, რომელიც ეჭვობს, რომ ამ გარემოებას ხელისუფლება კარგად გამოიყენებს და ბიძინა ივანიშვილს ქვეყნიდან გააძევებს.

მისი თქმით, ხელისუფლება ყველანაირად შეეცდება ივანიშვილს საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნის ვადა არ გაუხანგრძლივოს და ამის სამართლებრივად გასამყარებლად ლოპოტას სპეცოპერციას და მსგავს ინციდენტებს დაუდებს საფუძვლად.

„სრულიად მოსალოდნელია, სულ მალე ამ სპეცოპერაციის შესახებ ტელეეთერით ხელისუფლების მიერ შეთხზული ახალი ფილმები ვიხილოთ. „ენვერზე" და სხვა მსგავს სპეცოპერაციებზე მსგავსი ფილმები ჩვენ უკვე არაერთხელ ვნახეთ. არსებობს სრულიად საფუძვლიანი მოლოდინი, ლაფანყურის სპეცოპერაციას ბიძინა ივანიშვილთან დააკავშირებენ, რასაც შემდგომ მისთვის საქართველოში ყოფნის ვადის გახანგრძლივებაზე უარის სათქმელად გამოიყენებენ. მსგავსი რამ მათ სჩვევიათ და არაერთხელ გაუკეთებიათ. სწორედ ამ ფილმებს დაუდებენ საერთაშორისო საზოგადოებას და შემდეგ თავის მართლებას დაიწყებენ. თუ რატომ არ მისცეს „ქართული ოცნების" ლიდერს საქართველოში დარჩენის შესაძლებლობა",-განუცხადა „მედიანიუსს" დიმიტრი ლორთქიფანიძემ და დასძინა, რომ ის ლაფანყურის მსგავს სპეცოპერაციებსა და პროვოკაციებს ხელისუფლებისგან მომავალშიც ელის.

მედიანიუსი

## დღეებს ვითვლი, როდის წავალ პოლიტიკიდან

კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მას პოლიტიკა არ აინტერესებდა და დღეებს ითვლის, როდის წავა პოლიტიკიდან.

როგორც „მაესტროს" ეთერში შალვა რამიშვილთან საუბრისას ივანიშვილმა აღნიშნა, დღეს საზოგადოებაში არსებობს განწყობა, რომ ოღონდ სააკაშვილი არ იყოს და სხვა ვინც გინდა, ის მოვიდეს. მისი თქმით საზოგადოების ამგვარი დამოკიდებულება პრობლემაა.

„ძირითადი დამსახურება იმაში, რომ ჩვენ არჩევნებზე გავიმარჯვებთ, სააკაშვილს მიუძღვის, მაგრამ არც მე არ ვარ ცუდი კაცი და ვფიქრობ, რომ კარგი გუნდი მოვიყვანეთ. მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკაში ჩემი გამოჩენის დღიდან სააკაშვილის ქმედებები სისულელეა, თუმცა მას სხვა გზა არ აქვს. ახლა რომ გაჩერდეს, გამოდის, რომ მათი საქმე დამთავრდება. ამიტომ რჩებათ ერთადერთი გზა, ტერორი, რომელსაც ისინი ახორციელებენ",-განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

მედიანიუსი

ახალი თაობა

www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# „ქართული ოცნება“ არჩევნების შემდგომი არეულობისთვის ემზადება



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სპიკერ ჩიორა თაქთაქიშვილის განცხადებით, კოალიცია „ქართული ოცნება“ არა თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში მონაწილეობის, არამედ არჩევნების შემდგომი არეულობის გამოწვევისთვის ემზადება.

როგორც მან დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, მას ამას კოალიციის ლიდერის მიერ გუშინ დასმული „უსაფუძვლო მოთხოვნები“ აფიქრებინებს, რომლებიც სახელმწიფო უწყებებისგან მთელი რიგი კანონების მოქმედების შეჩერებას გულისხმობს.

თაქთაქიშვილის თქმით, საქართველოს პრეზიდენტმა და ნაციონალურმა მოძრაობამ მზადყოფნა გამოთქვეს, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნები საქართველოს ისტორიაში ყველაზე თავისუფალი და სამართლიანი იყოს.

„ამიტომ მხარი დავუჭირეთ ახალ საარჩევნო კოდექსს. შეიქმნა მრავალპარტიული კომისია სიების გადამოწმების მიზნით, ამოქმედდა „მასთ ქერის“ პრინციპი, შევუერთდით ქცევის კოდექსს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა. „ქართული ოცნება“ კი დოკუმენტში არსებული პრინციპების გაზიარებაზე უარს აცხადებს. კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ არჩევნების შედეგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს, თუ შესრულდება მის მიერ წაყენებული მოთხოვნები, რომელთაგან უმეტესობის შესრულება სახელმწიფო უწყებებისგან კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობისა და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონების მოქმედების შეჩერებას გულისხმობს. ბიძინა ივანიშვილის მიერ უსაფუძვლო მოთხოვნების დაყენება გვაფიქრებინებს, რომ „ქართული ოცნების“ მიზანია არა თავისუფალ და სამართლიან არჩევნებში მონაწილეობა, არამედ არჩევნების შემდგომი არეულობის გამოწვევა“, — განაცხადა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

ნაციონალური მოძრაობა „ქართულ ოცნებას“ კანონის მოთხოვნების დაცვის, სიძულვილის ენის გამოყენებისა და ძალადობისგან თავის შეკავებისა და არჩევნების შედეგების აღიარებისაკენ მოუწოდებს, რომლებსაც თაქთაქიშვილის თქმით, ცენტრალური საარჩევნო კომისია და საერთაშორისო მიუკერძოებელი სადამკვირვებლო მისიები დაადასტურებენ.

შეგახსენებთ, რომ კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებას ზემოთ ხსენებული მოთხოვნები გუშინ წაუყენა. კოალიციის ლიდერ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ხელისუფლება თუ პატარა ცვლილებებს მაინც განახორციელებს და იმ დარღვევების ნაწილს მაინც აღადგენს, რაც აქამდე იყო, ისინი წინასწარ მოაწერენ ხელს, რომ რაც დღემდე მოხდა, დაივიწყებენ. იმ შემთხვევაში, თუ ახალ კანონდარღვევებს არ ექნება ადგილი, არჩევნების ნებისმიერ შედეგს აღიარებენ. ლაპარაკია 6 მოთხოვნაზე, რომელთა შორისაა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინიცირებით გამოტანილი ყველა ჯარიმის, ყადაღისა თუ სანქციის აღსრულების დაუყოვნებლივ შეჩერება, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ კოალიცია „ქართული ოცნების“ შემოსავლებიდან და ხარჯებიდან იმ თანხის ამორიცხვა, რომლის კავშირი კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებთან არაფრით არის დადასტურებული, გარდა კონტროლის პალატის ვარაუდებისა და მხოლოდ ვარაუდების საფუძველზე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებისა; აგრეთვე ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მოქალაქეებისათვის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ყველა პირობის შექმნა.

**მედიანიუსი**

# ოტიაშვილის კანდიდატურის მოხსნასთან დაკავშირებულ კითხვას პასუხი გაეცემა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის სპიკერი ჩიორა თაქთაქიშვილი მმართველი პარტიიდან დუშეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატ ზურაბ ოტიაშვილის მიერ კანდიდატურის მოხსნაზე გავრცელებულ ინფორმაციას არც უარყოფს და არც ადასტურებს. მისი განცხადებით, ამ კითხვაზე პასუხი ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიასთან ერთად მალე გახდება ცნობილი. მისი თქმით, პარტია თავის საარჩევნო სიას საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ხვალ წარადგენს.

„უკვე ცნობილია, რომ ჩვენი საარჩევნო სიის პირველი ნომერია დავით ბაქრაძე, მეორე — პრემიერ-მინისტრობის კანდიდატი ვანო მერაბიშვილი. სიის დანარჩენი წევრების ვინაობა კი ხვალ გახდება ცნობილი“, — განაცხადა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

შეგახსენებთ, რომ მცხეთა -მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დუშეთის მაჟორიტარობის კანდიდატმა ზურაბ ოტიაშვილმა კანდიდატურა მოხსნა. ცენტრის ინფორმაციით, დეპუტატობის კანდიდატურის მოხსნა 27 აგვისტოს მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრის მიერ გამოქვეყნებული სტატია გახდა, სადაც ნათქვამია, რომ ოტიაშვილმა ჩარგალში ვაჟაობის დღესასწაულზე ერთ-ერთ ამომრჩეველს 500 ლარი გადასცა.

ცენტრთან საუბარში ოტიაშვილმა განმარტა, რომ უსინათლო მომღერალს საკუთარი თანხით დაეხმარა, თუმცა „საერთაშორისო გამჭვირვალობა– საქართველომ“ აღნიშნული ფაქტი ამომრჩევლის მოსყიდვად ჩათვალა. აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტის დაუყოვნებლივ გამოძიების მიზნით კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრმა სოზარ სუბარმა გუშინ საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა.

**მედიანიუსი**



# ლეიბორისტები სააკაშვილ-ივანიშვილს მესხეთ-ჯავახეთის გაყიდვაში ადანაშაულებენ

ლეიბორისტული პარტია სააკაშვილ-ივანიშვილს მესხეთ-ჯავახეთის გაყიდვის მცდელობაში ადანაშაულებს.

როგორც პრესკონფერენციაზე, ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა, კახაბერ ძაგანიამ განაცხადა, ნაციონალურმა მოძრაობამ ახალქალაქის რაიონში მაჟორიტარობის კანდიდატად ამ რეგიონის საქართველოდან მოწყვეტის იდეოლოგი სამველ პეტროსიანი, ,,ქართულმა ოცნებამ“ კი სეპარატისტული ორგანიზაცია ,,ჯავახკის“ ლიდერი ნორიკ კარაპეტიანი წარადგინა.

,,კაცობრიობის ისტორიაში საქართველოს მაგალითზე ხდება უპრეცედენტო შემთხვევა, კერძოდ მმართველმა ხროვამ ახალქალაქის რაიონში მაჟორიტარობის კანდიდატად წარადგინა ამ რეგიონის საქართველოდან მოწყვეტის იდეოლოგი სამველ პეტროსიანი, ხოლო კრიმინალ ოლიგარქის ოცნებამ იქვე დაასახელა სეპარატისტული ორგანიზაცია ,,ჯავახკის“ ლიდერი ნორიკ კარაპეტიანი. როგორც ჩანს პოლიტიკური ბედნიერების ახალ ეტაპს სააკაშვილ-ივანიშვილი ამრიგად მესხეთ-ჯავახეთის გაყიდვით აპირებენ“-აღნიშნა ძაგანიამ და იმედი გამოთქვა, რომ შეშინებულ, მოსყიდული ამომრჩევლის ნაწილი 1 ოქტომბერს, ამ ფაქტს მაინც გაითვალისწინებს.

ძაგანიას განმარტებით, ნაციონალების მიერ წარდგენილი სამველ პეტროსიანი ,,ჯავახკის“ ყოფილი ლიდერია, ,,ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი ნორიკ კარაპეტიანი კი ამჟამინდელი ლიდერი.

,,მოვუწოდებთ ორივე კრიმინალ ლიდერს სეპარატისტები მაინც ამოიღონ სიიდან,“-განაცხადა ძაგანიამ.

**მედიანიუსი**

# ჩვენთვის არჩევნებზე უპირატესი უსაფრთხოებაა

**ნათია ხურცილავა**



„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ რუსეთ-საქართველოს დაღესტნის საზღვარზე, ლოპოტას ხეობაში განვითარებული მოვლენების შეფასება გააკეთა.

— ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის უსაფრთხოებაა და შემდეგ არჩევნები და ხელისუფლებაში მოსვლა, — ამის შესახებ „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ ჟურნალისტებს ლოპოტას ხეობაში მიმდინარე სპეცოპერაციის კომენტირებისას განუცხადა.

— დღეს საზოგადოებაში აზრი გაყოფილია, უამრავი ვერსია ისმის. ამ ხელისუფლებაზეა ნათქვამი — სახელის გატეხვას, თავის გატეხვა ჯობიაო. იმდენჯერ მოხდა ამგვარი სიტუაციების ხელოვნურად გათამაშება, რომ დღეს საზოგადოებაში სერიოზული ეჭვებია გაჩენილი. სანამ მსხვერპლის შესახებ გახდებოდა ცნობილი, ბევრს ჰქონდა წარმოდგენილი, რომ ეს იყო პიარაქცია, რომელიც დაკავშირებულია არჩევნებთან. მე იმედი მაქვს, რომ დღეს ეს კონფლიქტი ამოწურულია და დროთა განმავლობაში მეტად გახდება ცნობილი, თუ რა მიზეზით და როგორ გადმოკვეთეს საზღვარი დაჯგუფების წევრებმა და რას ისახავდნენ მიზნად. ზოგადად ერთი რამ უნდა გვახსოვდეს ყველას — ბევრი რამ შეიძლება არარეალურია, რეალურ საფრთხეს წარმოადგენს რუსეთი. ამ ფაქტორის გათვალისწინებით უნდა ვაკეთოთ შეფასებები და აქედან გამომდინარე უნდა დავგეგმოთ მოქმედებები. ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენთვის არის უსაფრთხოება და შემდეგ არჩევნები, ხელისუფლების შენარჩუნება თუ ხელისუფლებაში მოსვლა, — განაცხადა დავით გამყრელიძემ.

ამასთან გამყრელიძე მწუხარებას გამოთქვამს იმ ქართველების გამო, რომლებიც სპეცოპერაციის დროს დაიღუპნენ.

# ბიძინა ივანიშვილი პრემიერმინისტრობის კანდიდატი, კახი კალაძე — პირველი ნომერი

**დასაწყისი მე-2 გვერდზე**

პირველ ნომერ დავით ბაქრაძესთან, — ამის შესახებ კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა საარჩევნო სიის პრეზენტაციაზე განაცხადა.

მისი თქმით, კალაძე დებატებში „ფსევდოპოზიციონერებთან“ არ დაჯდება. ამასთან, ივანიშვილის თქმით, ის გაეცნო „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ განცხადებას ტელედებატებთან დაკავშირებით. „პირველი არხი მწერდა რაღაც აბლაბუდას, რომ უცხოური ორგანიზაციები ეხმარებიან და რაღაც მეთოდიკა შეიმუშავეს. თავი დაანებონ ამ ფორმალობებს და სიყალბეებს. კეთილი ინებონ და გაამზადონ ველი, რომ შედგეს რეალური ველი დებატების და თავიდანვე ნუ ამზადებენ ისეთ მინდორს, სადაც არავინ მოვა, — განაცხადა ივანიშვილმა.

„საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ წინასაარჩევნო დებატებთან დაკავშირებით ბოლო განცხადება 30 აგვისტოს გააკეთა.

„საზოგადოებრივი მაუწყებელი“ 2012 წლის წინასაარჩევნო ტელედებატებს გამართავს. ისევე, როგორც 2010 წელს მაუწყებლის პარტნიორები იქნებიან ამერიკის განვითარების საერთაშორისო სააგენტო, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი. ტელედებატებში საქართველოს საარჩევნო კოდექსის 51-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-8 პუნქტების საფუძველზე მონაწილეობის უფლება აქვთ:

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, კოალიცია ,,ქართულ ოცნებას“, „ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობასა“ და „ლეიბორისტულ პარტიას“.

9 სექტემბერს დაგეგმილ პირველ დებატზე საზოგადოებრივი მაუწყებელი იწვევს აღნიშნული პარტიების მიერ დასახელებულ პრემიერმინისტრობის კანდიდატებს. მეორე დებატი 18 სექტემბერს იგეგმება იმავე პოლიტიკური პარტიების საარჩევნო სიების პირველ ნომრებს შორის. შესაბამისი ოფიციალური შეტყობინება პარტიებს უკვე დაეგზავნა, რომელზეც წერილობით დასტურს ან უარს საზოგადოებრივი მაუწყებელი 4 სექტემბერს 18.00 საათამდე ელის, — აღნიშნულია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ განცხადებაში.



კოალიცია ,,ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინვე ნინოწმინდისა და მარნეულის საარჩევნო ოლქებში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატები დაასახელა.

ნინოწმინდაში ალბერტ გულბეკიანი, ხოლო მარნეულში მახირ დარსიევი იბრძოლებენ დეპუტატის მანდატისთვის.

— დღეს ჩვენ ყველაზე მძიმე რეგიონების მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატებს წარმოგიდგენთ და ეს შემთხვევითი არ არის. ჩვენ ამ საკითხზე დიდხანს ვფიქრობდით, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

გუშინ ბიძინა ივანიშვილმა ლოპოტას ხეობაში რუსეთ-საქართველოს დაღესტნის მონაკვეთზე ჩატარებული სპეცოპერაციაზეც ისაუბრა. მისი შეფასებით, ლოპოტას ხეობაში ჩატარებული სპეცოპერაცია დადგმულს ჰგავს, — ეს განცხადება კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა, საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში მოსახლეობასთან შეხვედრაზე გააკეთა.

ივანიშვილმა მოსახლეობასთან წინასაარჩევნო შეხვედრის დასაწყისში გარდაცვლილი სპეცრაზმელების ოჯახებს მიუსამძიმრა და აღნიშნა, რომ არსებობდა ათასი გამოსავალი, რათა საქართველოს ხელისუფლებას ლოპოტას ხეობაში სისხლისღვრა თავიდან აერიდებინა, თუმცა, სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ ახალგაზრდები დაიხოცნენ. ბიძინა ივანიშვილმა შეხვედრა გამართა საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში სოფლის ცენტრში ადგილობრივ მოსახლეობასთან და წინასაარჩევნო პროგრამა გააცნო.

ბიძინა ივანიშვილთან ერთად კოალიციის ლიდერებიდან იმყოფებოდნენ კახეთის რეგიონის მაჟორიტარობის კანდიდატი თინა ხიდაშელი, ასევე, დავით უსუფაშვილი, მოჭიდავე ლევან თედიაშვილი და შოთა ხაბარელი.

მაია ფანჯიკიძე, „ქართული ოცნების“ წევრი:

— ჩემთვის საპარლამენტო სიაში არსებობა და საპარლამენტო მუშაობა ძალიან მნიშვნელოვანია. მართლაც ეს იქნება სიახლე ჩემს ცხოვრებაში. თუმცა, 16 წელი, რომელიც მე სახელმწიფო სამსახურში გავატარე, ვფიქრობ, კარგი გამოცდილებაა იმისთვის, რომ ახლა საკანონმდებლო ორგანოში ვიმუშაო.

— როგორ აპირებთ ხმების დაცვას?

— ,,ქართულ ოცნებას“ პრეტენზია აქვს, რომ პარლამენტში უმრავლესობით მოვიდეს. ეს არის ჩვენი მიზანი. ჩვენ აუცილებლად დავიცავთ ჩვენს ხმებს. თუ გვექნება არჩევნების გაყალბების უტყუარი ფაქტები, მაშინ ჩვენ დავიცავთ ჩვენს ხმებს ყველა ლეგალური, რასაკვირველია, მშვიდობიანი, კონსტიტუციის ფარგლებში და დაპირისპირების თავიდან აცილების გზით.

# ცესკო პოლიტიკური პარტიების გადამოწმებულ სიებს 6 სექტემბერს გამოაქვეყნებს

ცენტრალური საარჩევნო კომისია პოლიტიკური პარტიების მაჟორიტარულ და პროპორციულ გადამოწმებულ სიებს 6 სექტემბერს გამოაქვეყნებს.

როგორც ჟურნალისტებს ცსკ-ის პრეს-სპიკერმა ეკა აზარაშვილმა განუცხადა, პარტიულ სიაში წარმოდგენილი პირები პარტიული სიების წარდგენის მეორე დღეს თანამდებობიდან უნდა გადადგნენ.

“ამასთან, ერთი და იგივე ადამიანი არ შეიძლება, 2 სიაში ერთდროულად იმყოფებოდეს. ცსკ სიებს გადამოწმების შემდეგ 6 სექტემბერს ოფიცილურად გამოაქვეყნებს“, — განაცხადა აზარაშვილმა.

ცნობისთვის, პარტიული სიებისა და მაჟორიტარული კანდიდატების, აგრეთვე თანდართული დოკუმენტაციის ცესკოში წარდგენის ვადა პარტიებისათვის ხვალ იწურება.

**მედიანიუსი**

# აბანოთუბანში საცხოვრებელი სახლი დაიწვა

თბილისში, აბანოთუბანში ბააზოვის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლი დაიწვა.

როგორც ,,მედიანიუსს“ თბილისის საგანგებო სიტუაციების სამსახურიდან აცნობეს, ცეცხლი იტალიურ ეზოში, ორსართულიან სახლს გაუჩნდა, რის შედეგადაც 80-100 კვადრატული მეტრის ფართობი დაიწვა.

დამწვარია ორსართულიანი სახლის გადახურვა და ორი ოთახი.

ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

შემთხვევის ადგილზე 10 სახანძრო მანქანა მუშაობდა.

**მედიანიუსი**

თამარ ნინიძე

# სააკაშვილმა რუსეთის ჯიბრზე გენოციდის აღიარების ციკლი წამოიწყო

**საინფორმაციო პორტალ „ნიუს გე-“ზე გამოქვეყნდა აზერბაიჯანულ სააგენტო „კონტაქტ აზ“-ის ინფორმაცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ რუსეთი საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე გადმოდენის შეიარაღებულ რაზმებს. აზერბაიჯანული სააგენტოს კორესპონდენტები დარწმუნებული არიან, რომ ამ შეიარაღებულ რაზმებში მრავლად იქნებიან რუსული აგენტურის წარმომადგენლები, რუსეთის საბოლოო მიზანი სამხრეთ კავკასიაში დესტაბილიზაციის ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოტანაა.**





იყვნენ თუ არა ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი ჩრდილოკავკასიელი მეომრები რუსეთის არმიის წინააღმდეგ მებრძოლი პატრიოტები, ამის გარკვევა საკმაოდ რთულია. თუ აზერბაიჯანული საინფორმაციო წყაროები ეჭვობენ, რომ შეიარაღებულ მეამბოხეთა რაზმებშიც იქნებიან „ფეესბეს“ ჯაშუშები, გამორიცხული არ იყო, რომ ამ ოცკაციან რაზმშიც იქნებოდნენ რუსული სპეცსამსახურების წარმომადგენლები. ამ შემთხვევაშიც რუსეთი მოგებული რჩება, ფაქტია, რომ რუსეთი ჩრდილო კავკასიაში გააფთრებულ წინააღმდეგობის ფრონტს ძნელად უმკლავდება. მას უდიდესი სურვილი აქვს, პროცესებში აზერბაიჯანი და საქართველო ჩაითრიოს. პირველ რიგში ამით რუსეთს სურს, მსოფლიოს დაანახოს, რომ სამხრეთ კავკასიის ამ ორ სახელმწიფოში სტაბილურობა დასრულდა და იქ ახლა ადგილობრივი ხელისუფლებები ე.წ. ბოევიკებთან ბრძოლაში არიან ჩართული. საქართველოს, რომელსაც პრეტენზია აქვს დასავლურ ინტეგრაციაზე, საომარ პროცესებში ჩართვა, ცხადია, ქვეყანას ეკონომიკურადაც დაანგრევს და პოლიტიკურადაც მოსპობს. მეორე მხრივ, რუსეთი ამერიკას აფრთხილებს, რომ ნატოს ძალები სირიაში საბრძოლო მოქმედებებში არ ჩაერთონ, თუ გლობალური პოლიტიკის მასშტაბებს გავითვალისწინებთ, ამერიკისთვის სირიაში შესვლა ან სპარსეთის ყურეში ირანისთვის ამერიკის ძალის დემონსტრირება რუსეთისთვის შესანიშნავი მიზეზი იქნება სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში შესვლისათვის, საბაბი იქნება ორი: სომხეთში გიუმრის ბაზის დაცვა, ამ შემთხვევაში რუსეთის მარშრუტი სომხეთში გასასვლელად საქართველოს ტერიტორიას გვერდს ვერ აუვლის და მეორე, ე.წ. დესტაბილიზაცია ანუ ჩრდილოკავკასიელი ე.წ. ბოევიკებისა და რუსეთისთვის ტერორისტული ჯგუფების განადგურება საქართველოს ტერიტორიაზე. ამ უკანასკნელის მაგალითი არაერთხელ დავინახეთ მაშინ, როცა შევარდნაძე იყო პრეზიდენტი, პუტინის უშუალო განკარგულებით რუსული საბრძოლო საჰაერო ძალები გამუდმებით არღვევდნენ საქართველოს საზღვარს და საზღვრისპირა სოფლებს ბომბავდნენ.

ამიტომ დაღესტნიდან გადმოდევნილი ოცკაციანი რაზმის განადგურება ბაჩო ახალაიას სპეცრაზმის მიერ სასიამოვნო ეიფორიის გრძნობას ჩვენს ხელისუფლებას, წესით, არ უნდა უტოვებდეს. დღეს პოლიტიკოსები და პოლიტოლოგები ერთხმად ამბობენ, რომ საქართველოს ხელისუფლებას, მის ძალოვან სტრუქტურებს შეეძლოთ, მათ ხელთ არსებული სხვა რესურსები გამოეყენებინათ, მაგალითად, იარაღის დაყრისა და ჩაბარების მოთხოვნა დაეყენებინათ გადმოსული რაზმელებისთვის. ეს რესურსი რომ ამოიწურებოდა და დაუპატიჟებელი სტუმრები ცეცხლს გახსნიდნენ, ამ შემთხვევაში უნდა ეპასუხათ, იქნებ ორივე მხრიდან მსხვერპლი აგვეცილებინა, გარდა ამისა, საგულისხმოა ერთი გარემოებაც – ერთ-ერთი მშვიდობიანი მძევლის დედა აცხადებს, რომ მისი შვილი ნორმალურ პირობებში ჰყავდათ და მას სასტიკად არ ეპყრობოდნენ, ანუ ჩანს, რომ ეს დივერსიული ჯგუფი არ უნდა ყოფილიყო. ერთ-ერთმა მოქალაქემ ტელევიზიით გამოთქვა ეს აზრი, დივერსანტები შემთხვევით თუ წააწყდებიან მოსახლეობას, ადგილზე ხოცავენ მათ. ამ ჯგუფს, როგორც ჩანს, მხოლოდ გარკვეული გარანტიების მიღება სურდა.

ხელისუფლება დღეს აცხადებს, რომ „დივერსიულ დაჯგუფებას“ იარაღის დაყრა და ჩაბარება შესთავაზეს, მაგრამ ამის დაჯერება საზოგადოებას გაუჭირდება, რადგან კარგად გვახსოვს ბუტა რობაქიძის მკვლელობა და კორტებთან განხორციელებული სისხლიანი ოპერაციები.

სააგენტო „პირველმა“ გაავრცელა „საქართველოს გზის“ ლიდერ სალომე ზურაბიშვილის კომენტარი ლაფანყურის სპეცოპერაციის შესახებ. ზურაბიშვილმა რამდენიმე სპექტაკლი გაიხსენა, სადაც სააკაშვილი წარმატებით ასრულებდა მთავარ როლს. ერთ-ერთი იყო განმუხურში რუსი ჯარისკაცების უკანდახევის სცენა სააკაშვილის წინაშე და მეორე – ოსების დაკავება ვითომ მათ მიერ ქართველების დაკავების შედეგად და კიდევ ბევრი ასეთი სპექტაკლი.

ზურაბიშვილს მიაჩნია, რომ ეს იყო ქართველი საზოგადოების დაშინება ახალი ომით და მეორეც, მცდელობა, გადაეტანათ საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება არჩევნებიდან მშვიდობისა და სტაბილურობის საკითხზე. „ეს არის სტალინური ხელისუფლება, რომელიც თავის შვილებს სცენარების გულისთვის და თავისი ძალაუფლებისთვის წირავს“, – ასე ფიქრობს სალომე ზურაბიშვილი.

მეორე მხრივ, ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ და ეს არიან ჩრდილოკავკასიელი მებრძოლები და არა რუსეთის აგენტები, ქართველები, რომლებიც ჩრდილოკავკასიელებს სიყვარულში ეფიცებიან, მათი გენოციდის აღიარებას არ ერიდებიან რუსეთის პროტესტის მიუხედავად, ამ დროს ხოცავენ ჩრდილოკავკასიელ პატრიოტებს. არის თუ არა ეს ორმაგი სტანდარტი და ორმაგი პოლიტიკა? თუმცა, თუ ეს ჩვენს საზოგადოებას ოდნავ მაინც დაამშვიდებს, ვიტყვით, იქნებ ჩრდილო კავკასიის საზოგადოებამ ქართველი ხალხის წინააღმდეგ არ დაიწყოს გაუმართლებელი ტერორისტული აქტები და კარგად გააცნობიეროს, რომ რიგითი ქართველები ასეთ სისხლიან ოპერაციებს არ ამართლებენ.

საქართველოს ხელისუფლებას, კარგი იქნებოდა, გაეცნობიერებინა, რომ ჩრდილოკავკასიელებთან ორმაგი თამაში შეუძლებელია. ამ შემთხვევაში შევარდნაძის საგარეო პოლიტიკა ბევრად უფრო სწორი და თავშეკავებული იყო, ვიდრე სააკაშვილისა. შევარდნაძე რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას ეჭვქვეშ არ აყენებდა იმის გამო, რომ მერე რუსეთსაც ამით არ ეპასუხა. მეორეც, შევარდნაძის მთავრობა, მართალია, მასხადოვს შეხვდა, მაგრამ ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის აღიარებას არ დაჰპირებია. ეს არის დელიკატური საკითხი და ქართული დიპლომატიის რთული პრობლემა. სააკაშვილმა რუსეთის ჯიბრზე გენოციდის აღიარების ციკლი წამოიწყო. ასეთი რამისგან აზერბაიჯანმა შეიკავა თავი, რომელიც სარწმუნოებრივად მონათესავე სახელმწიფოა ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკებისა. ამიტომ ჩვენმა დიპლომატიამ საფრთხე შეუქმნა ჩვენი სახელმწიფოს სტაბილურობას. იმედია, ჩრდილოკავკასიელი ერები ქართველებთან წაკიდებას თავადვე მოერიდებიან.

# მემარჯვენეებმა თბილისის მაჟორიტარობის კანდიდატები დაასახელეს

ნათია ხურცილავა

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ გუშინ თბილისის მაჟორიტარულ ოლქებში კანდიდატები დაასახელა. თბილისის ათი მაჟორიტარული ოლქიდან „ახალ მემარჯვენეებს“ კანდიდატი რვა ოლქში ეყოლებათ. რაც შეეხება ორ მაჟორიტარულ ოლქს, მთაწმინდასა და სამგორს, დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ მათ იქ კანდიდატები არ ეყოლებათ და არც სხვა კანდიდატებს დაუჭერენ მხარს.

„მემარჯვენეების“ ლიდერის განცხადებით, პარტიამ აქცენტი მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენისას გუნდის წარმომადგენლებზე გააკეთა.

ვაკეში „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე იქნება მაჟორიტარობის კანდიდატი.

გამყრელიძის განცხადებით, საბურთალოზე კენჭს მამუკა კაციტაძე იყრის, დიდუბეში – გიორგი ლორთქიფანიძე, გლდანში – ავთანდილ სულაქველიძე, ნაძალადევში – გიორგი ჩიბუხაშვილი, ჩუღურეთში – გიორგი საბანაძე, კრწანისში – ლევან ხურცილავა, ისანში – რევაზ სოხაძე.

„მემარჯვენეებს“ მაჟორიტარობის კანდიდატები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამგორისა და მთაწმინდის რაიონებში არ ეყოლებათ. გამყრელიძე აცხადებს, რომ ამ ორ რაიონში „მემარჯვენეები“ მაჟორიტარების წარსადგენად მზად არ აღმოჩნდნენ.

– „მემარჯვენეები“ მაჟორიტარად წარდგენისას აქცენტს საკუთარი გუნდის წარმომადგენლებზე ვაკეთებთ, იმ ადამიანებზე, რომლებმაც წლების განმავლობაში დაამტკიცეს ერთგულება პრინციპებისა და გუნდის მიმართ და აქვთ უნარი, ზედმეტი ხმაურის გარეშე აკეთონ საკუთარი რაიონისა და თანამოქალაქეებისთვის საჭირო საქმე, – განაცხადა გამყრელიძემ.

„ახლების“ ლიდერის განცხადებით, ის განზე გადგომას არ აპირებს და საარჩევნო ბატალიებში ებმება.

– არასდროს გავქცევივარ დაპირისპირებას, ბრძოლას, არასდროს ამოვფარებივარ ზურგს უკან სხვებს, არც ახლა ვაპირებ, ამ ბრძოლიდან განზე გავდგე. ყოველთვის მახასიათებდა, რომ პირველს მიმეღო ჩემს თავზე დარტყმა ბრძოლის დროს საპარლამენტო ტრიბუნაზე თუ ქუჩის დაპირისპირებისას. ჩემს მეგობრებთან ერთად ყოველთვის ვიბრძოდი მემარჯვენე პრინციპებისთვის. ვიბრძოდი იმ სიმართლისთვის, რომელსაც „მემარჯვენეები“ ყოველთვის ვიცავდით, – აცხადებს გამყრელიძე.

„ახლების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ ვაკის მაჟორიტარულ ოლქში გამარჯვება ერთხელ უკვე მოიპოვა, მაგრამ, მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მანდატზე უარი თქვა.

– გადავწყვიტე, კენჭი ვიყარო იქ, სადაც ერთხელ უკვე მოვიგე. ვიყარო იმიტომ, რომ ჩემს თავზეც ავილო ის რთული ბრძოლა, გამოწვევა, რაც „ახლებმა“ ავილეთ ორი მონსტრის წინააღმდეგ, რომლებიც უზარმაზარი თანხით ისევ პოლიტიკური ბაზრის მონოპოლიზებისთვის, ისევ დომინანტური მდგომარეობისთვის იბრძვიან. ჩვენ ძალიან რთული მისია ავილეთ „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, რომ განსხვავებული აზრი გადაგვერჩინა. დღეს ავილეთ მისია, რომ გადავარჩინოთ ყველაზე მნიშვნელოვანი „შუა“, რომლის გარეშეც ეს ქვეყანა ისევ დაპირისპირებისთვის, მარგინალური და რადიკალური პროცესებისთვის. შეიძლება თქვან, რომ გავიმარჯვე ვაკის ოლქში და მანდატი დავაბრუნე, მე კი ვიტყვი, რომ ეს ჩემი ყველაზე დიდი აქტივია ამ არჩევნებში, რადგან პირნათლად შევასრულე ვაკის ამომრჩევლის დაკვეთა, რომ გაყალბებული არჩევნებისთვის ლეგიტიმაცია არ მიგვენიჭებინა. ჩვენ მაშინ სხვა დაპირებით წავედით იმ არჩევნებზე, რომ მეორე ტურში მიხეილ სააკაშვილს დავამარცხებდით. ამით დავამტკიცე, რომ მე სიტყვის პატრონი ვარ, რომ სკამისთვის არ ვიბრძვი. პოლიტიკა არ არის დასაქმების ან საკუთარი კეთილდღეობის საშუალება. ჩემთვის პოლიტიკა ხალხისა და ქვეყნის სამსახურში ყოფნაა, – განაცხადა დავით გამყრელიძემ.

„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მამუკა კაციტაძე ამომრჩეველთა სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისიის საქმიანობისგან სამართლებრივ დისტანცირებას აპირებს.

საბურთალოს მაჟორიტარი კანდიდატი მამუკა კაციტაძე დავით გამყრელიძემ გულიან რაჭველად დაახასიათა. როგორც „მემარჯვენეების“ საბურთალოს მაჟორიტარობის კანდიდატმა ჟურნალისტებს განუცხადა, მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს სამართლებრივი შეუთავსებლობა კომისიის თავმჯდომარეობასა და დეპუტატობის კანდიდატობას შორის, მას შემდეგ, რაც ცესკო მის კანდიდატურას ოფიციალურად დაარეგისტრირებს, კომისიის საქმიანობისგან დისტანცირებას მოახდენს.



მამუკა კაციტაძე

– უპირველესად ყოვლისა, მე ვუბრუნდები პარტიულ საქმიანობას, რთულ პოლიტიკურ ბრძოლას, ვუბრუნდები იმ ამპლუას, რომელიც ყოველთვის მქონდა. სამართლებრივი შეუთავსებლობა ამ კომისიის თავმჯდომარეობასა და კანდიდატობას შორის არ არსებობს, მაგრამ მას შემდეგ, რაც გავხდები ოფიციალური კანდიდატი, მე მოვახდენ დისტანცირებას კომისიის საქმიანობასთან. ეს არ ნიშნავს ჩემი მხრიდან ან პასუხისმგებლობის მოხსნას, ან საბოლოო დისტანცირებას, უფრო მეტიც, სიების საკითხზე ჩვენ მონიტორინგს აუცილებლად გავაგრძელებთ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ამომრჩეველთა სიის ბოლო ვერსიას დავდებთ და მე მექნება შესრულებული ის პასუხისმგებლობა, რომელიც პარტიასთან ერთად ავიღე, – განაცხადა მამუკა კაციტაძემ.

თუ რა ფორმით მოხდება სამართლებრივი დისტანცირება კომისიის საქმიანობასთან, ამასთან დაკავშირებით კაციტაძე განცხადებას მას შემდეგ გააკეთებს, რაც ცესკო მის კანდიდატურას დაარეგისტრირებს.

## მახათას მთაზე პარაკლისი შესრულდა

მახათას მთაზე ივერონის ქტიტორთა სახელზე აგებულ ტაძარში ვაკის სამების ტაძრის მოძღვარმა არქიმანდრიტმა საბა ჭკუასელმა წირვა აღასრულა და პარაკლისი გადაიხადა.

ღვთისმსახურებას ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მშენებლობის ფონდის „ივერიისა“ დამფუძნებელი, პაატა ბურჭულაძეც ესწრებოდა.

მახათას მთაზე მშენებლობის დასრულებამდე მცხეთა-თბილისის ეპარქიაში მოქმედი ყველა ტაძრის მოძღვარი აღავლენს წირვას.

მღვდელმსახურებას ვაკის სამების მრევლი ესწრებოდა.

მახათას მთაზე ამჟამად ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ტაძრის მშენებლობის პირველი ეტაპის სამუშაოები მიმდინარეობს.

ტაძრის მშენებლობის სახალხო აქციაში 200 000-მდე ადამიანია ჩართული.

**მედიანიუსი**

## საყოველთაო ნათლობისთვის რეგისტრაცია დაიწყო

ჩვილთა საყოველთაო მორიგი ნათლობისთვის რეგისტრაცია დაიწყო.

რიგით 24-ე ნათლობა სამების საკათედრო ტაძარში სექტემბერში ჩატარდება.

შეგახსენებთ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესისა და უნეტარესი ილია მეორე, მშობლების სურვილის შემთხვევაში, ჯვარდაწერილი ოჯახების მესამე და მომდევნო შვილებს ნათლავს.

ილია მეორეს ინიციატივით, ჩვილთა ნათლობას საფუძველი 2008 წელს, ნათლისღების დღესასწაულზე ჩაეყარა. საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს უკვე 12 117 ნათლული ჰყავს.

**მედიანიუსი**

## სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტები აღარ არსებობს



რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორ კარასინი აცხადებს, რომ საქართველოსთან კონფლიქტი აღარ არსებობს, -– იუწყება ,,იტარ-ტასი“.

კარასინის თქმით, რუსეთი საქართველოს ხელისუფლების პროვოკაციებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის მიმართ არ გამორიცხავს.

,,ქართულ-აფხაზური და ქართულ-სამხრეთოსური კონფლიქტები აღარ არსებობს. ამ კონფლიქტებზე ლაპარაკი მართლზომიერი 2008 წლის აგვისტომდე იქნებოდა. სამწუხაროდ, მათი მშვიდობიანი გადაჭრის მცდელობა, რასაც რუსეთი და საერთაშორისო თანამეგობრობა მრავალი წლის განმავლობაში მიმართავდნენ, 2008 წლის აგვისტოში შეწყდა, როცა ქართულმა მხარემ საერთაშორისო შეთანხმებები უხეშად დაარღვია და სამხრეთ ოსეთის მშვიდობიან მოსახლეობასა და რუს სამშვიდობო ძალებზე ფართომასშტაბიანი თავდასხმა განახორციელა. ამის შედეგად, მშვიდობიანი პოლიტიკური რეგულირების პროცესი ჩაიშალა. კონფლიქტებს კი საქართველოში თავისი საბოლოო გადაწყვეტა მოჰყვა – შეიქმნა საერთაშორისო სამართლის ახალი დამოუკიდებელი სუბიექტები: აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკები“, -– აცხადებს გრიგორი კარასინი. მისი თქმით, ამ რესპუბლების წარმომადგენლები ჟენევის დიკსუსიებში თანაბრად მონაწილეობენ, რომელიც ამიერკავკასიაში უსაფრთხოების პრობლემას შეეხება.

## ავღანეთში მყოფი ქართველი ჯარისკაცების სპეციალური სიების დაზუსტების ვადა იწურება

ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში მყოფი სამხედრო მოსამსახურეთა სპეციალურ სიების დაზუსტების ვადა იწურება.

სიებს ცენტრალური საარჩევნო კომისია, ოქტომბერში დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მიღებული მონაცემების საფუძველზე ადგენს.

ცესკოს 4 აგვისტოს მიღებული განკარგულების თანახმად: ,,ცესკოს საორგანიზაციო დეპარტამენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოითხოვოს სამშვიდობო ბატალიონებში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების მონაცემები და თავდაცვის სამინისტრომ 2012 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით ცესკოს გადმოსცეს ავღანეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების სამშვიდობო ბატალიონებში მყოფი სამხედრო მოსამსახურეთა ყველა ის მონაცემი, რომელთა საფუძველზე ცესკო არაუგვიანეს 2012 წლის 1 სექტემბრისა ადგენს სპეციალურ სიებს“.

**მედიანიუსი**

# ლოპოტას ხეობაში სპეცოპერაცია გრძელდება

**საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთთან, ლოპოტას ხეობაში, სპეცოპერაცია გრძელდება. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა სალომე მახარაძემ განუცხადა: „როგორც იცით, სპეცოპერაციის პირველი სტადია დამთავრებულია, თუმცა ის ჯერ კიდევ გრძელდება. იქ იმყოფებიან ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები, თუმცა დეტალებს ამ ეტაპზე ვერ გეტყვით“.**



გერა მამულაშვილი

ლოპოტას ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაცია 28 აგვისტოს დაიწყო. ოპერაციის შედეგად შსს-ს ორი თანამშრომელი და ერთი სამხედრო ექიმი დაიღუპა. ბოლო ინფორმაციით, ლიკვიდირებულია 11 დივერსანტი, რამდენიმე დაჭრილი კი, შსს-ს ვარაუდით, ტყეში იმყოფება.

ლაფანყურის მცხოვრებლები 5 ახალგაზრდის დატყვევების დეტალების შესახებ საუბრობენ. როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი ლაფანყურიდან იუწყება, სოფლის მცხოვრებლები პირად საუბრებში აცხადებენ, რომ 26 აგვისტოს ტყეში წასულ ახალგაზრდებს გზად დაღესტნიდან გადმოსული შეიარაღებული პირები შეხვდნენ. ლაფანყურელების ცნობით, ქართველებს შეიარაღებული პირები კარგად ექცეოდნენ და მათ ახალგაზრდებს ფეხსაცმელი, ტანსაცმელი და 200 დოლარი მისცეს.

ადგილობრივების ცნობით, დაღესტნიდან გადმოსული რამდენიმე ადამიანი ქართულადაც საუბრობდა.

სოფელ ლაფანყურის რწმუნებულ მორის პარკინაშვილის განცხადებით კი მას არა აქვს ინფორმაცია შეიარაღებული დაჯგუფების წევრების მიერ მძევლების დასაჩუქრების შესახებ, თუმცა იცის, რომ მძევლობიდან გათავისუფლებული ახალგაზრდები სახლებში არიან და თავს კარგად გრძნობენ.

მისივე ცნობით, მძევლობიდან გათავისუფლებულები კომენტარის გაკეთებას არ აპირებენ და მასაც არა აქვს უფლება, რაიმე განცხადება გააკეთოს ლოპოტას ხეობაში მიმდინარე სპეცოპერაციასთან დაკავშირებით.

თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურიდან ხუთი ახალგაზრდის – ლერი ხუცურაულის, ლევან გარაშვილის, ბესიკ მიჯახკაშვილის, ტატო ღაღოლიშვილისა და თამაზ გამიერაშვილის დაკარგვის შესახებ ინფორმაცია 28 აგვისტოს გავრცელდა. იმავე დღეს, დაახლოებით 14:00 საათისთვის, ცნობილი გახდა, რომ ახალგაზრდები იპოვეს.

ოფიციალური სტრუქტურების ინფორმაციით, ლაფანყურელი ახალგაზრდები ლოპოტას ხეობაში შეიარაღებული ჯგუფის წევრებმა დაატყვევეს. მათ მძევლობაში მესაზღვრეები ჩაენაცვლნენ, მესაზღვრეებს კი – შს ოფიცერი. შეიარაღებული ჯგუფის წევრებმა დანებებაზე უარი განაცხადეს, რის შემდეგადაც ლოპოტას ხეობაში ანტიტერორისტული ოპერაცია დაიწყო.

ოპერაციისას შსს-ს ორი თანამშრომელი და ერთი სამხედრო ექიმი დაიღუპნენ. განადგურებულია 11 დივერსანტი. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სპეცოპერაციის ძირითადი ფაზა დასრულებულია.

საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთიდან ლოპოტას ხეობიდან შეიარაღებული პირების შემოსვლის შესახებ „კავკაზცენტრი“ საკუთარ ვერსიას ავრცელებს. პორტალის ინფორმაციით, წყაროების მეშვეობით მათთვის ცნობილი გახდა საქართველო-დაღესტნის საზღვარზე განვითარებული მოვლენების დაწვრილებითი დეტალები:

„დაღესტნის ვილაიეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ საქართველოსა და რუსეთისგან მალულად საქართველო-დაღესტნის საზღვრის ერთ-ერთ მთიან ნაწილში მოხალისე ახალწვეულთა ჯგუფი შეკრიბა, რომლებსაც დაღესტნის ოპერატიული ჯგუფის მხარდაჭერა ევალებოდათ. ახალწვეულები დისლოკაციის ადგილის მიმართულებით მოძრაობდნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ დაღესტნის ვილაიეთის ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის საოკუპაციო ჯარის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში.

ოპერაციის უკანასკნელ ეტაპზე ჯგუფის გადაადგილების მარშრუტის შესახებ ინფორმაციამ გაჟონა. საქართველოს ხელისუფლებამ ახალწვეულთა წინააღმდეგ სპეცრაზმის მსხვილი დანაყოფები და ვერტმფრენები გაგზავნა. ქართულმა მხარემ მოჯაჰედებთან მოლაპარაკებები დაიწყო და მას იარაღის დაყრა შესთავაზა. საქართველოს ხელისუფლებამ შეიარაღებული დანაყოფის საკუთარ ტერიტორიაზე გამოჩენა პროვოკაციად შეაფასა და ჩათვალა, რომ რუსეთი ამას მორიგი სამხედრო შეჭრის ორგანიზების წინაპირობად გამოიყენებდა“.

„კავკაზცენტრის“ ცნობით, მოლაპარაკებების პროცესში, რომელიც დღე-ღამეზე მეტ ხანს გაგრძელდა, ახალწვეულმა მოჯაჰედებმა იარაღის დაყრაზე უარი თქვეს:

„მათ საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდეს, გაეთავისუფლებინათ მათთვის მარშრუტი და მიეცათ საშუალება, თავისუფლად დაეტოვებინათ საქართველოს ტერიტორია, რომელზეც ისინი დანიშნულების ადგილისკენ სვლისას აღმოჩნდნენ. მას შემდეგ, რაც მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა, ბრძოლა დაიწყო. ჩვენი წყაროები უარყოფენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მოჯაჰედებმა ქართველი სამოქალაქო პირები მძევლებად აიყვანეს. ინფორმაციის გაჟონვა მათი მარშრუტის შესახებ სწორედ იმიტომ მოხდა, რომ ახალწვეულებმა გაუშვეს ხუთი ქართველი, რომლებიც შემთხვევით შეხვდათ“.

ანალიტიკური პორტალის წყარო მწუხარებას გამოთქვამს მომხდარი სისხლის ღვრის გამო, რომელიც, მათი თქმით, არ აწყობს არც საქართველოს, რომელიც რუსეთის ახალი აგრესიის საფრთხის წინაშე დგას და არც მუსლიმანურ კავკასიას, რომელიც რუს ოკუპანტებს ებრძვის.

აზერბაიჯანელი ექსპერტის არასთუნ ორუჯლუს განცხადებით კი რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიიდან ამბოხებულებს აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიაზე აძევებს. ამის შესახებ ექსპერტმა „,თურანთან“ ინტერვიუში განაცხადა.

მისი თქმით, სწორედ ეს არის დაღესტნისა და საქართველოს საზღვარზე მიმდინარე სამხედრო ოპერაციის მიზანი.

„,ამ ამბოხებულებს შორის ბევრია რუსეთის აგენტურა. მეზობელ ქვეყნებში მოხვედრის შემდეგ ისინი სიტუაციის დესტაბილიზაციას ცდილობენ და რუსეთის შესაბამისი სამსახურების მიერ კონტროლდებიან“, – აღნიშნავს აზერბაიჯანელი ექსპერტი.

მისი თქმით, ბოლო 24 საათის განმავლობაში ვრცელდება არაოფიციალური ინფორმაცია საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე რუსული ჯარისა და სამხედრო ტექნიკის მობილიზების შესახებ: „,კრემლი დროდადრო აძლევს იმის გაგების საშუალებას, რომ ის არ მოითმენს უცხო გავლენას ჩრდილო კავკასიაში“.

ორუჯლუს თქმით, უახლოეს მომავალში ამბოხებულების შეჭრა აზერბაიჯანშიცაა მოსალოდნელი:

„,შემოდგომაზე ჩრდილო კავკასიაში რუსეთი ფართომასშტაბიან სამხედრო წვრთნებს გეგმავს, თუმცა ტექნიკის კონცენტრაცია უკვე ახლა მიმდინარეობს. ამიტომ უნდა ველოდოთ, რომ აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვარზე პროვოკაციას გრძელვადიანი ხასიათი ექნება“.

# ლაფანყურის ბრძოლა“ – ხელისუფლების შესაძლო მოტივები

**ევრაზიის ინსტიტუტი ბოლო დღეებში კახეთში, ლოპოტას ხეობაში ჩატარებულ სპეცოპერაციას ეხმაურება და მას საქართველოს ხელისუფლების მიერ დადგმულ სპექტაკლს უწოდებს.**

**ლაფანყურის მოვლენებზე ევრაზიის ინსტიტუტის კომენტარს „მედიანიუსი“ უცვლელად გთავაზობთ.**



„უკვე საბოლოოდ გახდა ცხადი, რომ არავითარი მძევლები ეგრეთ წოდებულ წვერებიან მოჯაჰედებს საქართველოში არ აუყვანიათ. მაქსიმუმი, რაც მოხდა – საქართველოს რამდენიმე ახალგაზრდა მოქალაქეს, რომლებმაც შემთხვევით დაინახეს უცხო შეიარაღებული პირები, ამ უკანასკნელთ სთხოვეს, თან გაჰყოლოდნენ, რათა საქართველოს ტერიტორიაზე მათი ყოფნა ცნობილი არ გამხდარიყო. ამას ადასტურებენ ლაფანყურის მცხოვრებნი თავად „მძევლების“ გადმოცემის საფუძველზე, რომლებსაც ქართველმა სამართალდამცველებმა პრესასთან ურთიერთობა აუკრძალეს. ერთი მუჭა ბოევიკების მხრიდან მშვიდობიან მოსახლეობას არავითარი საფრთხე არ გასჩენია. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ საჭიროდ მიიჩნია, წამოეწყოთ ბოევიკების დევნა, ვითომ „მძევლების გათავისუფლების“ ოპერაციის განსახორციელებლად.

ლამის შსს მთელმა შემადგენლობამ შემოარტყა ალყა 17 ბოევიკს, ორი დღის მანძილზე მოქმედებდნენ უპილოტო თვითმფრინავები და ჯავშანტექნიკა. მიუხედავად უზარმაზარი უპირატესობისა, ქართულმა „სპეცნაზმა“ მაინც 3 ადამიანი დაკარგა. ამიტომ ბრძოლები მაინც რეალურ ხასიათს ატარებდა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მას „სპექტაკლად“ მიიჩნევს, ლაფანყური აშკარად ჩამორჩება თავისი თეატრალიზებულობითა და კომიკურობით განმუხურს, როდესაც სააკაშვილის მთელი „ბომონდი“ გამოვიდა აფხაზეთში რუსი მშვიდობისმყოფელების შესახვედრად და მათ „კუდით ქვა ასროლინეს“.

მაგრამ სპექტაკლის ელემენტები ლაფანყურშიც არის, მიუხედავად ტრაგედიისა (სამი ადამიანისა და თერთმეტი ბოევიკის დაღუპვა – ოფიციალური ვერსიით). ყალბი მძევლები – ხელისუფლების განზრახვის მხოლოდ გაფორმებაა. „სპეცოპერაციის“ მიზეზები კი უფრო ღრმად უნდა ვეძებოთ. რუსული სახელმწიფო საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ ოფიციალურად არის აღიარებული მტრად. შესაბამისად, „ჩვენი“ მტრების მტრები ჩვენს მიერ მეგობრებად თუ არა, დროებით მოკავშირეებად მაინც უნდა იქნან აღქმულნი. ტყიან მთიანეთში ორი ათეული მოხეტიალე მებრძოლის წინააღმდეგ „სპეცოპერაციის“ ჩატარება აუცილებელი არ იყო. ეს წვეროსანი ხალხი არ აპირებდა საქართველოსთან ბრძოლას ან მისი მოსახლეობის ხოცვასა და ძარცვას. სანამ კავკასიაში რუსეთია, ეს ბანდიტები არ შეგვეხებიან – კიდევ ერთი არგუმენტი, რატომ არის საქართველო დაინტერესებული კავკასიაში რუსეთის ყოფნით და რატომ არ ღირს მისი ჯიბრით რაღაც „გენოციდების“ აღიარება. მაგრამ ახლა საუბარი სხვა რამეზეა. ქართველ ძალოვნებს, ტრადიციისამებრ შეეძლოთ თვალი დაეხუჭათ საზღვრის დარღვევაზე და ყველასათვის თავიდან აეცილებინათ ზედმეტი ალიაქოთი და მსხვერპლი. მაგრამ მათ სჭირდებოდათ „ელვისებური გამარჯვება“. რატომ:

ა) კარზე არჩევნებია მომდგარი, საგანგებო სიტუაციების წარმოშობა და შემდეგ მათი წარმატებული გადაწყვეტა კი ყოველთვის ხელს აძლევს არაპოპულარულ ხელისუფლებას, როგორიცაა სააკაშვილის ხელისუფლება; ამის მიხვედრა ალბათ შედარებით იოლია და ამაზე საქართველოში უკვე ყველა საუბრობს, ვისაც არ ეზარება;

ბ) ბევრად უფრო მნიშვნელოვანია მეორე, ფარული ფაქტორი. შესაძლოა, ხელისუფლებას ეს არც აქვს გააზრებული, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა. კერძოდ: მომხდარი გამოხატავს სააკაშვილის რიტორიკის შერბილებას რუსების მიმართ (ხოლო „უბრალო ხალხის“ საშუალებით – რუსეთის მიმართ) – რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისათვის სავიზო შეზღუდვების მოხსნა, მოულოდნელი განცხადებები „სახალხო დიპლომატიისა“ აუცილებლობის შესახებ და ა.შ. ახლა კი, სააკაშვილმა „გამარჯვება მოიპოვა“ საზღვრის დამრღვევებზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი რუსეთის მტრები იყვნენ. ამასთან გამოყენებულ იქნა მძევლების ფაქტორი – კახეთი (ანუ მეღვინეობის მხარე, სადაც ხელისუფლება აშკარად არაპოპულარულია თუნდაც გლეხებისთვის ყურძნის გასაღების სირთულის გამო), ისე, როგორც საქართველოს არც ერთი სხვა მხარე, თავის დროზე იტანჯებოდა შეიარაღებული დაღისტნელი მძარცველების – მონებით მოვაჭრეთა თარეშისაგან. გარკვეულწილად ცოცხლდება ისტორიული სურათები, წარმოიშობა წარსულთან ასოციაციები... განსხვავება, რა თქმა უნდა, ბევრად მეტია, მაგრამ მაინც... ამრიგად ხელისუფლება, შესაძლოა, კიდევ ერთხელ ცდილობს, მოსახლეობის ქვეცნობიერში, რომლის 87% რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებას ემხრობა (ამას თვით ამერიკული გამოკითხვებიც აღიარებენ), ჩანერგოს აზრი, რომ იგი სულაც არ არის ანტირუსული, არამედ სავსებით შესაძლებელია, გარკვეული პირობების შექმნის შემთხვევაში, საქმეები აწარმოოს მოსკოვთან. ვითარების პარადოქსულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგივე ხელისუფლება მეორეს მხრივ აგრძელებს მოსახლეობის დაშინებას რუსეთით და ოპოზიციის დემონიზებას ცდილობს, როგორც „პრორუსული ძალისა“. ესაა ხელისუფლების პარადოქსი და იმავდროულად ტრაგედია. ამ იდიოტიზმში თავი ხელისუფლებამ თვითონ ჩაიგდო და გამოსავალი აღარ აქვს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი ამომრჩევლები ასეთ ხრიკებს არ წამოეგებიან.

**P.S.** ციტატი ზემოთ წარმოდგენილი ვერსიის დასადასტურებლად, მ.სააკაშვილი:

„მე მგონი ყველა დარწმუნდა, რომ ვერც პანკისში ბასაევის თარეში და ვერც მე-17, მე-18, მე-19 საუკუნეების ლეკიანობას კახეთში ველარავინ ვერ გაიმეორებს“.

**მედიანიუსი**

# სირიის გარშემო შექმნილი ვითარება და კავკასიის რეგიონი — შესაძლებელია რუსეთის სამხედრო გააქტიურება?



**მ. ალექსანდროვი:** „...ფასი, რომელიც დასავლეთმა სირიაზე თავდასხმის გამო შეიძლება, რომ გადაიხადოს, სამხრეთ კავკასიაზე რუსეთის სამხედრო კონტროლის აღდგენა იქნება".

საქმე მხოლოდ მ. ალექსანდროვის მოსაზრებაში არ არის, სირიის კონფლიქტი პოტენციურად გავლენას ახდენს კავკასიის რეგიონზე, ამის შესახებ ევრაზიის ინსტიტუტი უკვე წერდა (მაგალითად, აჭარაში მზარდ თურქულ საფრთხეზე). ამიტომ კომენტარისათვის რამდენიმე ცნობილ რუს ექსპერტს მივმართეთ. კითხვა შემდეგში მდგომარეობს:

„თქვენი აზრით, შეუძლია თუ არა რუსეთს, შეეგუოს სირიაში ასადის რეჟიმის ძალისმიერ დამხობას (განსაკუთრებით დასავლეთის პირდაპირი აგრესიის შემთხვევაში), და თუ არა, შესაძლებლად მიგაჩნიათ რუსეთის მხრივ სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში ძალისმიერი სცენარის განხორციელება?

**ნიკოლაი სილაევი** — ისტორიკოსი, პოლიტოლოგი, მეცნიერებათა კანდიდატი, ჟურნალ „ექსპერტის" პოლიტიკის განყოფილების რედაქტორი, საექსპერტო ორგანიზაცია „კავკასიური თანამშრომლობის" დამაარსებელი: „რუსეთის პოზიცია მდგომარეობს იმაში, რომ მას არ შეუძლია ხელი შეუშალოს კანონგარეშე ძალისმიერ მოქმედებებს, მაგრამ ამასთან არ დაუშვებს, რომ აღნიშნული მოქმედებები სანქცირებულ იქნას გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით. ამგვარი პოზიცია არ ითვალისწინებს რაიმე ძალისმიერ პასუხს რუსეთის მხრიდან, სირიის წინააღმდეგ აგრესიის შემთხვევაში. შეერთებული შტატების და მათი მოკავშირეების კანონგარეშე ქმედებებზე ასეთივე უკანონო პასუხი არ იქნება. ავანტიურა, რომლის მოწყობაც დასავლეთს შეუძლია, არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ჩვენც ავანტიურებში ჩავერთოთ.

სხვა საკითხია, რომ შეერთებული შტატების პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში მოკლებულია გააზრებულობასა და პასუხისმგებლობას. მას შეუძლია და უკვე შეძლო კიდეც, მთელი რეგიონის დესტაბილიზაცია. არსებითად, ამ ვითარებაში სარგებელს ნახულობენ არაბული მონარქიები და არაბი რადიკალი ისლამისტები. ამ ორ ძალას აშშ-ის მხარდაჭერით შეუძლია რეგიონში დარჩენილი არაკლერიკალური რეჟიმების დამხობა, მაგრამ საეჭვოა, რომ ისინი შეძლებენ ახალი სტაბილური და მშვიდობიანი წესრიგის დამყარებას. ახლო აღმოსავლეთის დესტაბილიზაცია კი კავკასიაზეც აისახება. კერძოდ, თურქეთის ზომაზე მეტი ჩართვა ახლოაღმოსავლურ საკითხებში გამოიწვევს კავკასიაში ძალთა ვაკუუმს. თუ ვის შეუძლია წარმოშობილი ვაკუუმის შევსება, ეს უკვე სხვა საკითხია".

**ანდრეი ეპიფანცევი** — პოლიტოლოგი, მეცნიერებათა კანდიდატი, კავკასიის მკვლევარი, რადიო „გოლოს როსიის" გადაცემის — „კავკასიური პოლიტიკა" — წამყვანი: „სირიის შესაძლო დაცემა მტკივნეული დარტყმა იქნება რუსეთისთვის, რადგან იგი მოასწავებს კიდევ ერთი მოკავშირის ჩამოშორებას, გავლენის კიდევ უფრო მეტად შემცირებას ახლო აღმოსავლეთში, ასევე საბჭოთა დროიდან დარჩენილი ერთადერთი საზღვაო-სამხედრო ბაზის დაკარგვას. ამასთან, ამის არდაშვების შესაძლებლობები რუსეთისთვის შეზღუდულია და პრაქტიკულად ყველა ბერკეტს რუსეთი უკვე იყენებს — ასადის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების ბლოკირება საერთაშორისო დონეზე, სირიის ოპოზიციის მაქსიმალური დასუსტება, სირიის მმართველი რეჟიმის იარაღით მომარაგება, დიპლომატიური მხარდაჭერა და ა.შ. ცალკე შეიძლება გამოიყოს რუსეთს შიგნით სირიიდან მრავალრიცხოვანი ჩერქეზული, დაღესტნური, ჩეჩნური და სხვა დიასპორების რუსეთის ჩრდილო კავკასიაში ევაკუაციისადმი წინააღმდეგობის გაწევა, რადგან თავის მასაში ეს დიასპორები სირიის ამჟამინდელი რეჟიმის მხარდამჭერნი არიან და მათი ევაკუაცია იმის მანიშნებელი იქნებოდა, რომ რუსეთმა უკვე ჯვარი დაუსვა ბაშარ ასადს.

რუსეთის შესაძლებლობები ამ ღონისძიებებით ამოიწურება კიდეც, მეტის გაკეთება მას არ ძაულუძს და ამიტომ დასავლეთთან რაიმე არსებითი ხასიათის ვაჭრობაზე საუბარი ზედმეტია. სირიაში დასავლეთის ქვეყნების პირდაპირი ძალისმიერი ჩარევის შემთხვევაში, მაქსიმუმი, რის გაკეთებაც მოსკოვს შეუძლია, არის გაეროს უშიშროების საბჭოში მისი დაბლოკვა, მისი ვეტოს დარღვევაზე დიდ ხანს აღშფოთება და შემდეგ ნატოსთან ურთიერთობების სტატუსის დროებითი დაქვეითება.

გარდა ამისა, თუკი ასეთი ჩარევა მოხდება, შეიძლება ველოდოთ, რომ კონფლიქტის სამხედრო ფაზა დიდ ხანს საერთოდ არ გაგრძელდება და რუსეთი ვერაფრის გაკეთებას მოასწრებს. ამიტომ მე არ ვეთანხმები კოლეგა მიხეილ ალექსანდროვს მის შეფასებაში, რომ რუსეთის მხრიდან მოსალოდნელია ძალისმიერი გააქტიურება სირიის მოვლენების აქტივიზაციის პროცესთან ერთად. მაგრამ! სავსებით სხვა სიტუაცია იკვეთება ირანის საკითხთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ყველა დაინტერესებულ მხარეს ბევრად მეტი აქვს დასაკარგავი. აშკარაა, რომ დასავლეთი ირანით დაკავდება მხოლოდ სირიის საკითხის გადაჭრის შემდეგ — ომის ერთდროულად წარმოება ორი მიმართულებით, განსაკუთრებით აშშ-ში საარჩევნო კამპანიის გათვალისწინებით, შეუძლებელია. თუკი დასავლეთი მაინც გადაწყვეტს ირანის წინააღმდეგ აგრესიას, მაშინ ძალზე გაიზრდება ალიანსებისა და წინასაომარი ვაჭრობის როლი. ამ თვალსაზრისით იზრდება რუსეთის, და არა მხოლოდ რუსეთის, არამედ, თუნდაც აზერბაიჯანის გავლენა და ფასი, როგორც ირანის ოპერაციის წარმატებაზე უშუალოდ გავლენის მქონე ქვეყნებისა. საუბარი გვაქვს ერაყის მსგავს გრძელვადიან სახმელეთო ოპერაციაზე, და არა საჰაერო დარტყმაზე, რომელიც არაფერს მოიტანს.

ასეთ პირობებში არაფრით არ შეიძლება დასავლეთის მხრიდან რუსეთთან ვაჭრობის ელემენტების გამორიცხვა, ისევე, როგორც აზერბაიჯანთან. რუსეთთან ვაჭრობის საგნად შეიძლება, იქცეს საქართველო, აზერბაიჯანთან — ყარაბაღი. მიახლოებითი ფორმულა, შესაძლოა, ასე ჟღერდეს: „თქვენ — მოსკოვი — არ შეეწინააღმდეგებით ირანში ჩვენს შეჭრას დიპლომატიურად და არ მიაწოდებთ თეირანს რაიმე სახის შეიარაღებას, რომელიც ჩვენთვის საფრთხეს წარმოადგენს, სამაგიეროდ, ჩვენ თვალს დავხუჭავთ საქართველოს წინააღმდეგ ელვისებურ ოპერაციაზე მაშინ, როდესაც ირანში ჩვენი შეჭრა აქტიურ ფაზაში შევა". რუსეთის ოპერაციის სისწრაფე შესაძლოა, მეტად მნიშვნელოვან ფაქტორად იქცეს, რადგან იდეალურ ვარიანტში იგი ისე უნდა განხორციელდეს, რომ ვაშინგტონს, ბრიუსელსა და თელ-ავივს სახე შეუნარჩუნდეს, მათ უნდა მიეცეთ საშუალება, განაცხადონ, რომ მათ არაფრის გაკეთება შეეძლოთ, რადგან ხელები ჰქონდათ დაბმული ოპერაციის აქტიური ფაზით, ხოლო როცა ამ ფაზამ გაიარა, საქართველოში ყველაფერი დასრულებული იყო.

ამ თვალსაზრისითვე აზერბაიჯანთან ყარაბაღის გარშემო ვაჭრობის გამართვის შესაძლებლობა ბევრად ნაკლებია, რადგან ცხადია, რომ დაინტერესებულ მხარეთა პოტენციალი ერთმანეთთან ფარდობაშია და ელვისებური ოპერაცია აზერბაიჯანს არ გამოუვა, შესაბამისად, დასავლური საზოგადოებრიობა, ასე თუ ისე, აღმოჩნდება განახლებული კონფლიქტის წინაშე, ირანში ოპერაციის აქტიური ფაზის დასრულების შემდეგ.

ამრიგად, თეორიული თვალსაზრისით, ხაზს ვუსვამ — თეორიულს, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალისმიერი ქმედებების დაწყება რეგიონში დიდი ომის გაჩაღების შემთხვევაში, არსებობს.

დიდწილად იგი განპირობებულია არა მომენტის „ხელსაყრელობით" — რუსეთის სამხედრო შესაძლებლობებით და დასავლეთისთვის ირანის საკითხში მისი ფასეულობით, საქართველოს ფასეულობასთან შედარებით, არამედ იმ არასტაბილური მდგომარეობით, რომელიც ჩამოყალიბდა 2008 წლის 8 აგვისტოს შემდეგ.

აუცილებელია ვაღიაროთ, რომ ვერც ერთმა მხარემ — ვერც რუსეთმა და ვერც საქართველომ — კონფლიქტის შედეგად ვერ მიიღო სასურველი შედეგი და უკმაყოფილო დარჩა. საქართველომ წააგო ომი, „მიაღწია" რუსეთის და კიდევ რამდენიმე სახელმწიფოს მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებას, და როგორც ჩანს, განხილვას დაქვემდებარებულ მომავალში მან დაკარგა ეს ტერიტორიები. რუსეთმა ვერ შეძლო თავისი სამხედრო წარმატების გამყარება საერთაშორისო არენაზე, და ომის შემდეგ აშშ-სკენ საქართველოს კიდევ უფრო მეტად გადახრის გათვალისწინებით, თავის საზღვრებთან მიიღო კიდევ უფრო შეურიგებელი და პრობლემების შემქმნელი მოწინააღმდეგე, ვიდრე უწინ ჰყავდა.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლების მეტად აგრესიული ანტირუსული პოლიტიკის გამო, რუსეთის გარკვეულ წრეებში ძლიერდება განცდა, რომ ტანკების ნებაყოფლობითი შეჩერება თბილისიდან 60 კმ დაშორებით, 2008 წელს, შეცდომა იყო და ჩრდილო კავკასიაში მოსკოვის გარკვეული პრობლემების ფესვი მახაჩყალაში, ნალჩიკსა და მაიკოპში კი არა, თბილისშია საძებარი, რაც იწვევს ამ საკითხის „ადგილზე" მოგვარების სურვილს.

პოლიტიკური თეორიიდან გამომდინარე, მოცემული მდგომარეობა მეტად არამდგრადია და ისარი ადრე თუ გვიან, რომელიმე მხარეს უნდა გადაიხაროს. ამ „გადახრის" პროცესის დაჩქარება ბევრ ფაქტორს შეუძლია, მაგრამ რეგიონში შესაბამისი გარემოს შექმნა, საამისოდ უმთავრესია.

კიდევ ერთხელ მინდა, ხაზი გავუსვა, რომ წარმოდგენილი მოსაზრებანი უფრო გარკვეული გონების ვარჯიშია, სიტუაციის გარშემო თეორიული მსჯელობით და კონკრეტულ დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემით. რეალობა ბევრად უფრო მრავალწახნაგოვანია და სრულყოფილი ანალიზის გაკეთების შემთხვევაში აუცილებელი იქნება მხედველობაში იქნას მიღებული სხვა ფაქტორების მთელი რიგი, მაგალითად, ის მდგომარეობა, რომელიც შეიძლება შეიქმნას სომხეთში ანტიირანული კოალიციის აუცილებელი გამარჯვების შემთხვევაში და ა.შ., მაგრამ ეს საკუთრივ ანალიზს კიდევ უფრო ართულებს, თუმცა არც იმ თეორიული შესაძლებლობების რეალიზებას გამორიცხავს, რომლებიც ზემოთ იქნა წარმოდგენილი".

**ანდრეი არეშევი** — პოლიტოლოგი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წამყვანი ექსპერტი სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების საკითხებში, საიტის კავკაზოვედ.ინფო მთავარი რედაქტორი, რამდენიმე წლის განმავლობაში ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაცია „სტრატეგიული კულტურის ფონდის" გამგეობის წევრი: ჩემი აზრით, რუსეთი სირიის წინააღმდეგ წარმოებულ აგრესიულ ქმედებებს პირველ რიგში პოლიტიკურ-დიპლომატიური საშუალებებით შეეწინააღმდეგება. გამორიცხული არ არის ეკონომიკური და მატერიალური დახმარების ფორმებიც. უნდა აღინიშნოს, რომ სირია არ არის რუსეთის შეიარაღებათა მსხვილი მყიდველი, და ამ ქვეყანისათან თანამედროვე თავდაცვით შეიარაღებათა მიწოდების თაობაზე დადებული ყველა კონტრაქტი რომ შესრულებულიყო, ბ-ნი ობამას მიერ ახლახანს ღიად გაცხადებული აგრესია პრინციპში გამორიცხული იქნებოდა. სირიის, შემდეგ კი ირანის გარშემო დაპირისპირების გაძლიერება აუცილებლად შეეხება კავკასიის რეგიონსაც, ამ შემთხვევაში რუსეთს მოუწევს უსიამოვნო შედეგებთან შეჯახება. როგორც ცნობილია, სამხრეთ ოსეთში მომხდარ მოვლენებამდე რუსეთის გენერალურმა შტაბმა შეიმუშავა შესაბამისი გეგმა, რომლის ხსენებამაც მე მომიწია, ხოლო მისი არსებობა კიდევ ერთხელ დადასტურდა ინტერნეტში გამოჩენილ გახმაურებულ ფილმში — „დაკარგული დღე".

აშკარაა, რომ შეუძლებელია, არ მუშავდებოდეს შესაბამისი გეგმები ირანის გარშემო შექმნილი ფეთქებადსაშიში სიტუაციის გამო. მაგრამ რუსეთის შესაძლო ქმედებები თავის სამხრეთ საზღვრებთან აუცილებლად შეეჯახება აშშ-ის აქტიურ წინააღმდეგობას, რომელმაც ბოლო წლებში საკუთარი პოზიციები გააძლიერა საქართველოში, და, როგორც ჩანს, აზერბაიჯანში. რუსეთის არმიის რეფორმირებასთან და მთლიანობაში სახელმწიფოს სამხედრო მოწყობასთან დაკავშირებული პრობლემების გათვალისწინებით, რაიმე აშკარად კონფრონტაციული სცენარის პრაქტიკული რეალიზაცია რუსეთისთვის უკიდურესად არასასურველი ჩანს. იმისათვის, რომ ვითარება არ მივიდეს ღია სამხედრო დაპირისპირებამდე, აუცილებელია მსხვილ რეგიონულ სახელმწიფოთა კავშირი, ურთიერთნდობაზე დამყარებული. ეს სახელმწიფოები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი რეგიონში მოვლენების სტაბილური განვითარებით. ამ შემთხვევაში თვით ის ქვეყნებიც, რომლებიც ჯერ უფრო ვაშინგტონის მითითებებს უგდებენ ყურს, შეცვლიან თავიანთ პოზიციას უფრო მეტი დაფიქრებულობის სასარგებლოდ.

*ევრაზიის ინსტიტუტი*

---

## ადამიანები, რომლებიც არჩევნების წინ მოდიან გუნდში, პარტიას იოლად ტოვებენ

„ახალი მემარჯვენეების" ლიდერის დავით გამყრელიძის განცხადებით, პოლიტიკურ ბრძოლაში, ყოველთვის ბევრად უფრო ეფექტურია იმ ადამიანების ჩართვა, ვისთვისაც ძირითად საქმიანობას პოლიტიკა წარმოადგენს. როგორც პრესკონფერენციაზე დავით გამყრელიძემ განაცხადა, მათი პარტიული სიის პირველი ათეული პოლიტიკოსებით არის დაკომპლექტებული.

„პოლიტიკურ ბრძოლაში, საპარლამენტო მოღვაწეობაში ყოველთვის ბევრად უფრო ეფექტურია იმ ადამიანების ჩართვა, ვისთვისაც ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პოლიტიკა. მესმის, ძალიან მომგებიანია პირველი ეფექტისთვის ცნობადი სახეები — სპორტსმენები, მუსიკოსები, მომღერლები და ა.შ. მაგრამ როდესაც ეს ადამიანები პარალელურად დაკავებული არიან სხვა საქმიანობით, შემდგომ მათი ქმედების ეფექტიანობა არის ძალიან დაბალი. ადამიანები რომლებიც არჩევნების წინ მოდიან გუნდში, იოლად მოდიან და ტოვებენ პარტიას. აქედან გამომდინარე ჩვენ აქცენტი გავაკეთეთ იმ ხალხზე, ვინც არის პროფესინალი პოლიტიკოსი და არ არის დასამალი, რომ ჩვენთვის მთავარია ერთგულების მაჩვენებელი. სწორედ ამით შეირჩა ჩვენი ათეული" — აცხადებს გამყრელიძე.

„ახალმა მემარჯვენეებმა" პარტიული სია ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დღეს ოფიციალურად წარუდგინეს.

*მედიანიუსი*

## სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე სროლები გრძელდება

სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე სროლები კვლავ გრძელდება.

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, სომხეთის შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება კვლავ დაარღვიეს და აზერბაიჯანის ტერიტორიების მიმართულებით ცეცხლი გახსნეს.

აზერბაიჯანულმა მხარემ სომხებს საპასუხო ცეცხლით უპასუხა.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის საზღვარზე ორმხრივი სროლები უკვე რამდენიმე თვეა გრძელდება. ორივე მხრიდან 10-ზე მეტი ადამიანია დაღუპული.

*მედიანიუსი*

## მსოფლიო ეკონომიკას მკაცრი დაცემა ელის

მსოფლიო ეკონომიკას მკაცრი დაცემა ელის, — წერს „რამბლერ.რუ" საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „მუდსზე" დაყრდნობით..

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტემპი მოსალოდნელზე მეტად დაეცემა. ასეთ დასკვნამდე საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია „მუდსის" ექსპერტები მივიდნენ, რომლებმაც 2012-2013 წლების მარკეტინგული რისკების განახლებული პროგნოზი გამოაქვეყნეს. მათი მოსაზრებით, 2012 წელს ეკონომიკური ზრდა აქამდე ნავარაუდევი 3 პროცენტის ნაცვლად, დაახლოებით 2,8; 2013 წელს კი ნავარაუდევი 3,5-ის ნაცვლად, 3,4 პროცენტს შეადგენს.

„მსოფლიო ეკონომიკაში შექმნილი სიტუაცია ყოველთვიურად უარესდება. წლის დასაწყისთან შედარებით, ეკონომიკური რისკები მნიშვნელოვნად იზრდება. მათ შორის მთავარი ევროზონის კრიზისია. რეგიონს მოსალოდნელზე ღრმა რეცესია ემუქრება", — იუწყება „რამბლერ.რუ".

*მედიანიუსი*

## სომხეთში ავტოავარიის შედეგად საქართველოს მოქალაქე დაშავდა

სომხეთში ავტოავარიის შედეგად საქართველოს მოქალაქე დაშავდა.

სომხური მედიის ცნობით, შემთხვევა ქალაქ ვანაძორში მოხდა, სადაც სატვირთო ავტომობილი ამობრუნდა. სომხეთის საგანგებო სიტუაციების სამსახურის განცხადებით, სატვირთო ავტომობილს 52 წლის საქართველოს მოქალაქე მამუკა ნიგერაძე მართავდა. ის გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა, რის შედეგადაც ავტომანქანა ამობრუნდა.

საქართველოს მოქალაქეს სასწრაფო დახმარების თანამშრომლებმა სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. შემთხვევის შესახებ სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსაც ეცნობა.

*მედიანიუსი*

# ქართულ კალიგრაფიულ სკოლას საუკუნეების ტრადიცია აქვს

ეკა ირემაშვილი

5-დან 8 სექტემბრის ჩათვლით ბათუმში უკვე მეორედ გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია ,,ტაო-კლარჯეთი“, რომელსაც წარმოადგენს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტაო-კლარჯეთის თემით დაინტერესებული საზოგადოება შეიკრიბება და ამ საკითხზე კიდევ ერთხელ დეტალურად იმსჯელებს.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი ბუბა კუდავა განმარტავს, რომ საქართველოსთვის ტაო-კლარჯეთი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხია და მას არაერთი კონფერენცია თუ კვლევა უნდა მიეძღვნას.

*ბუბა კუდავა:*

– ბათუმში უკვე მეორედ ჩატარდება საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი“. პროექტის მიზანია ისტორიული ტაო-კლარჯეთის კომპლექსური და ინტერდისციპლინური კვლევა, დაინტერესებულ ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა მეტი კოორდინირება, ერთობლივი საერთაშორისო პროექტების განხორციელება, ტაო-კლარჯეთისადმი სამეცნიერო ინტერესის კიდევ უფრო გაღვივება, განადგურების საფრთხის წინაშე მდგარი მიკრორეგიონებისა და ძეგლების შესწავლის გააქტიურება, რომლებიც კაშხლების მშენებლობის გამო უახლოეს მომავალში დაიტბორება, ფართო საზოგადოებაში ტაო-კლარჯეთის ძეგლთა მეტი პოპულარიზება და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

ამ ფონზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამეცნიერო ფორუმების, კონფერენციების, სემინარების ორგანიზება, სადაც ტაო-კლარჯეთის თემით დაინტერესებული ქართველი თუ უცხოელი მეცნიერები წარმოადგენენ საკუთარ კვლევებსა და ხედვებს, რაც განსაკუთრებით ეფექტურია რეგიონის მრავალმხრივი შესწავლის თვალსაზრისით.

***– ვინ მიიღებს მონაწილეობას კონფერენციაში?***

– კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს 35-მდე უცხოელი და 80-მდე ქართველი მეცნიერი, რომელზეც დასწრება თავისუფალია და ნებისმიერ მსურველს შეუძლია შემოგვიერთდეს.

***– ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სამი ხელნაწერი სამცხე-ჯავახეთის ისტორიის ახლად რეაბილიტირებულ მუზეუმში განთავსდა. ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებაში გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ეს ხელნაწერები ქურდულად გაიტანეს თბილისიდან.***

– ეს ინფორმაცია ინტერნეტით გავრცელდა, რაც არასწორია. ახლახან ქალაქ ახალციხეში დასრულდა სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის რეაბილიტაცია და დაიგეგმა მუზეუმში გამოფენის გახსნა, რომელიც ასახავს რეგიონის ისტორიას პრეისტორიული ხანიდან დღემდე. გამოფენაზე სხვადასხვა ექსპონატებთან ერთად მოხვდა ხელნაწერებიც, მათ შორის სამი ნიმუში ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოლექციიდან – წყაროსთავის ოთხთავი (XII-XIII საუკუნეები), ოსმალური ხელნაწერი – გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი (XVI საუკუნე) და სამართლის წიგნი (XVIII საუკუნე). აღნიშნული ხელნაწერების ახალციხეში გადაადგილებამდე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის რესტავრატორებმა შეისწავლეს ხელნაწერები და დაასკვნეს, რომ შესაბამისი პირობების დაცვით სრულიად დასაშვებია მათი ტრანსპორტირება და ექსპონირება ახალციხეში. ამ საკითხზე არც ხელნაწერების ტრანსპორტირებამდე და არც მას შემდეგ განსხვავებული აზრი არ ყოფილა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებს შორის. ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ აღნიშნულ საგამოფენო პროექტში მონაწილეობის მიღება, ვინაიდან, სამცხე-ჯავახეთის მუზეუმში, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო დარბაზისაგან განსხვავებით, დაცულია ხელნაწერთა დიდი დროით გამოფენისათვის საჭირო პირობები, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კი ფართო საზოგადოება ხშირად მოკლებულია შესაძლებლობას დაათვალიეროს ხელნაწერების ორიგინალები. სამწუხაროდ, ინტერნეტით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს აღნიშნული ხელნაწერები ,,ქურდულად“ გაიტანეს თბილისიდან. სინამდვილეში კი ხელნაწერების ტრანსპორტირება თბილისიდან ახალციხის მიმართულებით მოხდა ყველა სათანადო პროცედურის დაცვით, გეგმის მიხედვით დანიშნულ დროს, მიმდინარე წლის 7 აგვისტოს, დღისით, სამუშაო საათებში, კერძოდ, 14 საათზე. ტრანსპორტირებამდე ხელნაწერები საცავის თანამშრომლების, რესტავრატორებისა და ხელმძღვანელობის უშუალო მონაწილეობითა და თანდასწრებით შეიფუთა სპეციალური მასალით, ყველა წესის დაცვით ჩალაგდა სპეციალურ ყუთში, რომელიც დაილუქა და დაცვის სამსახურის თანხლებით გაემგზავრა ახალციხეში. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის ახლად რეაბილიტირებული მუზეუმი განთავსდა ახალციხის ისტორიულ უბანში – რაბათის არქიტექტურულ კომპლექსში მდებარე XIX საუკუნის საერო ნაგებობაში. ხელნაწერების სამცხე-ჯავახეთის მუზეუმში ტრანსპორტირებამდე საგამოფენო დარბაზში უკვე დასრულებული იყო შიდა და გარე სარემონტო სამუშაოები. მუზეუმის კედლებად შენარჩუნებულია ძველი ქვის წყობის ფაქტურა და, შესაბამისად, ინტერნეტში გავრცელებული ინფორმაცია ჯერ კიდევ სველი შელესილობისა და სალებავების შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება. მუზეუმის საგამოფენო დარბაზში ხელნაწერების გამოსაფენად შექმნილია საერთაშორისო ნორმებით გათვალისწინებული ყველა აუცილებელი პირობა. ამ პირობების შესაქმნელად წინასწარი კონსულტაციები რამდენიმე თვის მანძილზე მიმდინარეობდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ეროვნული მუზეუმის სპეციალისტებს შორის. ხელნაწერებისათვის სპეციალურად დამზადდა ჰერმეტული ვიტრინები, შეიქმნა ხელნაწერებისათვის საჭირო ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმი, საერთაშორისო სტანდარტით მიღებული ნორმების შესაბამისად დამონტაჟდა განათება ვიტრინების გარეთ. ხელნაწერები ვიტრინებში განათავსეს 7 აგვისტოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებმა. ამ პროცედურის დროს დაცული იყო ყველა სათანადო ნორმა – გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრისა და სამართლის წიგნისათვის შეირჩა გადაშლის კუთხე და დამაგრდა გვერდები. წყაროსთავის ოთხთავი საგამოფენო ვიტრინაში არ არის წარმოდგენილი გადაშლილ მდგომარეობაში, იგი დახურულია და იგივე მდგომარეობაში იმყოფება, როგორც იყო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავში. ამასთანავე, ოთხთავის მინიატურები, რომლებიც გვიანდელი პერიოდისაა და არ არის ხელნაწერის შექმნის თანადროული, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავში დარჩა. ეს მინიატურები თავიდანვე იყო მოცილებული ძირითად ხელნაწერს და უკვე რამდენიმე ათწლეულია ცალკე ინახება მათი უკეთ დაცვის მიზნით. სამივე ხელნაწერის ვიტრინებში განთავსების შემდეგ ვიტრინები ჰერმეტულად დაიხურა. მომდევნო თვეების მანძილზე უშუალოდ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლის მიერ განხორციელდება დარბაზში არსებული პირობების ყოველკვირეული მონიტორინგი. სამცხე-ჯავახეთის მუზეუმში ხელნაწერების გამოსაფენად ყველა პირობაა შექმნილი, რაც ხელს უწყობს მათ დაცულ მდგომარეობაში ყოფნას და ამასთანავე საშუალებას აძლევს ფართო საზოგადოებას, ახლოს გაეცნოს აღნიშნულ ხელნაწერებს, რისი საშუალებაც მას აქამდე იშვიათად ჰქონდა, ვინაიდან ხელნაწერები მხოლოდ ხანმოკლე დროით, თემატური ექსპოზიციების ფარგლებში იფინებოდა. ბოლო დღეების მანძილზე ინტერნეტსივრცეში გავრცელდა სხვადასხვა ინფორმაცია ხელნაწერების დაცულობის შესახებ. ზემოთ აღნიშნული სამი ხელნაწერიდან გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი და სამართლის წიგნი რესტავრირებულია XX საუკუნის დასასრულს. რაც შეეხება წყაროსთავის ოთხთავს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივში დაცული დოკუმენტაციის მიხედვით, მისი მდგომარეობა სტაბილური იყო ხელნაწერთა ინსტიტუტის დაარსების დღიდან – 1958 წლიდან. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 1982 წელს ქალაქ პარიზში, იმ დროის ყველაზე დიდ საგამოფენო სივრცეში – ,,გრან პალეში“ მოეწყო ქართული ხელნაწერების გამოფენა, სადაც წყაროსთავის ოთხთავი ხუთ სხვა ქართულ ხელნაწერთან ერთად გამოიფინა. XX საუკუნის დასასრულს წყაროსთავის ოთხთავს ჩაუტარდა გამაგრებითი სამუშაოები. სწორედ ამ სამუშაოების დროს გადაღებული ფოტოები გავრცელდა ინტერნეტში თარიღის მითითების გარეშე. აღნიშნული ფოტოები ასახავს კონსერვაციის პროცესს და არა შემდგომ მიღებულ შედეგს, მით უფრო, ფოტოები არ ასახავს ოთხთავის დღევანდელ მდგომარეობას. დღეს ოთხთავის ყდა შეკრულია, ხე, რომელზეც შემოკრულია ჭედურობა, გასუფთავებული და დამუშავებულია, თვითონ ხელნაწერის ფურცლები კი ერთად არის აკინძული. მთლიანობაში ოთხთავის მდგომარეობა სტაბილურია, რაზეც მოწმობს ის ფაქტი, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე იგი რამდენჯერმე იყო ექსპონირებული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საგამოფენო დარბაზში. არასწორი ინფორმაცია ვრცელდება 2008 წელს ქალაქ ლონდონში დაგეგმილ გამოფენასთან დაკავშირებითაც. 2007 წელს ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა ლონდონის გამოფენაზე წყაროსთავის ოთხთავის ექსპონირების შემოთავაზება მიიღო. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ყველა რესტავრატორისა და მოწვეული ექსპერტების უმრავლესობის აზრით, ოთხთავის ტრანსპორტირება და ექსპონირება უარყოფითად არ იმოქმედებდა მის მდგომარეობაზე. თუმცა, რამდენიმე მოწვეულმა ექსპერტმა გამოთქვა შიში ოთხთავის ასეთ შორეულ მანძილზე მრავალსაათიანი ტრანსპორტირების გამო. ამ ფაქტს ისიც ართულებდა, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები ვერ შეძლებდნენ გამოფენაზე ხელნაწერის მდგომარეობის მონიტორინგს. სწორედ მოწვეულ ექსპერტთა უმცირესობის აზრს გაეწია ანგარიში და ოთხთავი ადგილზე დარჩა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზედმეტი მითქმა-მოთქმის თავიდან აცილების მიზნით ლონდონის გამოფენაზე არ გავიდა არც ვანის ოთხთავი, რომელიც XII-XIII საუკუნეებით თარიღდება, რომლის კარგი მდგომარეობის შესახებ არანაირი აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცული ექსპონატები დროდადრო მონაწილეობს თბილი-



სისა თუ საქართველოს ფარგლებში ჩატარებულ გამოფენებში. ასეთ შემთხვევებში საკითხი წყდება ხელშეკრულების საფუძველზე საგამოფენო პროექტში მონაწილე ორ დაწესებულებას შორის და ქართული კანონმდებლობის მიხედვით არ საჭიროებს რომელიმე უწყებისაგან სპეციალურ ნებართვას. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმში გამოფენილი სამივე ხელნაწერი ახალციხეში დარჩება რამდენიმე თვით, ექსპოზიციის განახლებამდე.

***– ხელნაწერთა ეროვნულმა ცენტრმა საერთაშორისო საზაფხულო სკოლასაც უმასპინძლა. რა დატვირთვა აქვს მას?***

– ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა „ქართული დამწერლობა“ გასულ წელსაც ფუნქციონირებდა, რომელიც ორგანიზებულია ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ქართველოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლის მიზანია ქართველოლოგიური მეცნიერებების პოპულარიზაცია, ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვრის – ქართული დამწერლობის საერთაშორისო ასპარეზზე გატანა, ქართული ხელნაწერი ტრადიციის, როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობების პროდუქტის, მრავალმხრივობის აქცენტირება, ქართველ და უცხოელ მეცნიერთა და სტუდენტთა სამომავლო თანამშრომლობისათვის საფუძვლის მომზადება, თანამშრომლობითი ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა. საზაფხულო სკოლა განკუთვნილია ქართული კულტურით, განსაკუთრებით ქართული დამწერლობითა და ხელნაწერი მემკვიდრეობით დაინტერესებული უცხოელებისთვის. საზაფხულო სკოლაში მონაწილეობდა 22 უცხოელი შემდეგი ქვეყნებიდან – გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები, იტალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, პოლონეთი, თურქეთი, ირანი და სომხეთი. საზაფხულო სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავდა აკადემიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებს. აკადემიური პროგრამა ითვალისწინებდა სალექციო კურსებს, პრაქტიკულ სამუშაოებსა და დავალებებს, ვორქშოფებს. აკადემიურ სასწავლო კურსს უძღვებოდნენ ქართველოლოგიის სფეროს ქართველი მეცნიერები. კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდა თემასთან დაკავშირებულ გამოფენასა და ექსკურსიებს. პროგრამის ფარგლებში მრგვალი მაგიდის ფორმატში დაიგეგმა 3 დისკუსია, ასევე სკოლის მონაწილეების სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრების წარდგენა პრეზენტაციის სახით. სკოლის სასწავლო პროგრამა ითვალისწინებდა მსმენელების შეფასების ორკომპონენტიან სისტემას და მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასებას. სკოლის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატი. ლექციები ძირითადად ჩატარდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ასევე, თემატიკიდან გამომდინარე, ექსკურსიების ფარგლებში სხვადასხვა სამუზეუმო და საბიბლიოთეკო სივრცეში. საერთაშორისო საზაფხულო სკოლის მონაწილეებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეგობართა საზოგადოების წევრებმა უმასპინძლეს, სკოლის მონაწილეებს მიმართეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებმა, ასევე, მეგობართა საზოგადოების გამგეობის წევრებმა. შეხვედრას ესწრებოდნენ მეგობართა საზოგადოების გამგეობის წევრები, მედიის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები. ღონისძიება უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზის ფოიეში გაიმართა. შედგა ასევე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეგობართა საზოგადოების გამგეობის წევრთა მორიგი შეკრება, რომელსაც ესწრებოდნენ საზოგადოების თავმჯდომარე რუსუდან კერვალიშვილი, ასევე გამგეობის წევრები ტარიელ გვალია, დავით შალამბერიძე, კახა შენგელია, ლიკა მამაცაშვილი და სხვები. შეხვედრას თავმჯდომარეობდა ნათია წკეპლაძე. გამგეობის წევრებმა ისაუბრეს უკვე დასრულებული და უახლოეს მომავალში ცენტრში დაგეგმილი პროექტების შესახებ. მათ შორის დამწერლობის ფესტივალზე, საზაფხულო სკოლაზე „ქართული დამწერლობა“ და საერთაშორისო კონფერენციაზე „ტაო-კლარჯეთი“. სხდომაზე შემუშავდა საზოგადოებაში გაწევრიანების პოლიტიკა, ასევე დაიგეგმა მეგობართა საზოგადოების პრეზენტაცია სხვადასხვა დაწესებულებაში და საერთაშორისო საზაფხულო სკოლის მონაწილეთა ოფიციალური მიღება. საზაფხულო სკოლის ოფიციალურ დახურვაზე მისმა მონაწილეებმა სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრები პრეზენტაციის სახით წარადგინეს.

***– ქართველი საზოგადოებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია კონკურსი „ქართული კალიგრაფია“...***

– ქართულ კალიგრაფიულ სკოლას საუკუნეების ტრადიცია აქვს. ხელით გადაწერილი წიგნი ადრეულ საუკუნეებშივე იქცა კულტურულ და ეროვნულ ფენომენად. საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ სამწიგნობრო კერებში საუკუნეთა განმავლობაში ინტენსიურად იქმნებოდა ქართული წიგნი. მონასტრებში მოღვაწე მწიგნობრების შემოქმედებითი ჯგუფები ქმნიდნენ რა ხელნაწერ წიგნებს, განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ ქართული ანბანის გრაფიკულ მოხაზულობას, წიგნის შესამკობად გამოყენებულ მოხატულ ასოებსა და სხვა დეკორატიულ ელემენტებს, რომელთა მრავალფეროვნებაში მჟღავნდებოდა ცალკეული წიგნის შემქმნელის ინდივიდუალურობა. მართალია, ბევრი ოსტატის სახელი დღეს ჩვენთვის უცნობია, მაგრამ მათი შემოქმედებითი ღვაწლით შექმნილი ასობით ხელნაწერი წიგნი ეროვნულ საუნჯედ იქცა. დღეს ისინი ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. ჩვენს რეალობაში ხელით წერის უძველესი მაღალმხატვრული ტრადიცია ნაკლებად ცნობილი და წახალისებულია. დღეს ბევრი ვერ ხვდება, რაში შეიძლება გამოიყენოს დახვეწილი კალიგრაფია, მაშინ, როცა ხელით შესრულებული ნამუშევრები, როგორც ხელოვნების ნიმუშები, საკმაოდ ფასობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ინიციატივით 2010 წლიდან საფუძველი ჩაეყარა ყოველწლიურ კონკურსს „ქართული კალიგრაფია“, სადაც მონაწილეებს საშუალება ეძლევათ, თანაბარ კონკურენტულ პირობებში წარმოაჩინონ უნარი ხელით წერის კულტურაში, ასევე, აქვთ შესაძლებლობა მოისმინონ ლექცია-სემინარები შესაბამის თემებზე. პროექტის საბოლოო მიზანი საქართველოში ხელნაწერი წიგნის შექმნის კულტურის აღორძინებაა. „ქართული კალიგრაფიის“ კონკურსის ფინალისტებისთვის ირანელმა კალიგრაფმა ფატეჰ ეზათფურიმ „ვორქშოფი“ ჩაატარა. იგი საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისში დამწერლობის ფესტივალში მონაწილეობის მისაღებად. „ვორქშოფები“ ასევე ჩატარდა ქართული კალიგრაფიის კონკურსის ყველა მონაწილისთვის. კონკურსის გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრები გადაეცათ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა კი ფონდის ფავორიტი გამოავლინა და დააჯილდოვა. სულხან სისაურმა ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტ მარიამ მათიაშვილს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსების ფარგლებში გამოცემული წიგნები – „მშენებელი ოსტატები შუა საუკუნეების საქართველოში“, „არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში“ და „ჯავახეთის ეპიგრაფიკული კორპუსი“ გადასცა. კონკურსი „ქართული კალიგრაფია“ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დაარსების დღისადმი მიძღვნილი „დამწერლობის ფესტივალის“ ფარგლებში ჩატარდა. მასში მონაწილეობა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებმა და კალიგრაფიის თემით დაინტერესებულმა პირებმა მიიღეს.

***– რა მიზანს ემსახურება „დამწერლობის ფესტივალი“?***

– „დამწერლობის ფესტივალის“ მიზანი ქართული დამწერლობის, როგორც კულტურული ფენომენის პოპულარიზაცია და საუკუნეების ტრადიციის მქონე ქართული კალიგრაფიული სკოლის აღორძინებაა. „დამწერლობის ფესტივალი“ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, თბილისის კულტურულ ღონისძიებათა ცენტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ორგანიზებით ჩატარდა. სამდღიანი პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა ღონისძიება დაიგეგმა. ფესტივალის პირველ დღეს შედგა ალბომ ,,ქართული დამწერლობის“ პრეზენტაცია, რომელშიც თავი მოიყარა ცენტრის კოლექციის გამორჩეულ ქართულ ხელნაწერთა ამსახველმა ფოტოებმა, ასევე გაიმართა კალიგრაფიული წერის აქცია „ანბანათქება“. აქციაში მონაწილეობას ათამდე უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი და კალიგრაფიის თემით დაინტერესებული პირები იღებდნენ. გადაწყდა, რომ მათი ნამუშევრები საბოლოოდ ცენტრში შეინახება. ფესტივალის მეორე დღე ცენტრის დაარსების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს დაეთმო, გაიხსნა ღვაწლმოსილ მეცნიერ თანამშრომელთა კუთხე, წარმატებულ სტაჟიორებს გადაეცათ სერტიფიკატები, ცენტრის ყველაზე აქტიური მხარდამჭერები და შემომწირველი კი დაჯილდოვდა ექვთიმე თაყაიშვილის მედლით, გამოვლინდნენ კონკურს „ქართული კალიგრაფიის“ მონაწილეები, გაიხსნა კალიგრაფიის კონკურსის მონაწილეთა ნამუშევრების გამოფენა. ფესტივალის ბოლო დღეს კი შედგა ქართული და უცხოური კალიგრაფიის „ვორქშოფები“, გაიხსნა საბავშვო კუთხე, წარმოდგენილი იყო საგანმანათლებლო პროგრამა, დაჯილდოვდნენ პროექტის მონაწილეები. ფესტივალის მიმდინარეობისას გაიმართა ანბანის თემაზე შექმნილი ხელოვნების ნიმუშების ყოველდღიური გამოფენა-გაყიდვა და წარმოდგენილ იქნა კალიგრაფიის კუთხე.

# ევროპა გახურდა, ლივერპულში მეთოფეები ჩადიან

## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 01.09 | ვესტ ჰემი-ფულემი | 2.4 | 3.4 | 2.87 |
| 01.09 | სუონსი-სანდერლენდი | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 01.09 | ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი | 2.9 | 3.4 | 2.37 |
| 01.09 | უიგანი-სტოკი | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 01.09 | ტოტენჰემი-ნორვიჩი | 1.4 | 5.0 | 7.0 |
| 01.09 | სიტი-ქპრ | 1.2 | 7.0 | 11.0 |
| 02.09 | ლივერპული-არსენალი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 02.09 | ნიუკასლი-ასტონ ვილა | 1.67 | 3.8 | 5.0 |
| 02.09 | საუთჰემპტონი-მანჩესტერი | 5.0 | 4.2 | 1.6 |

**ვესტ ჰემი-ფულემი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-ჯეკ კოლისონი

ფულემი: ***ტრავმ***-უდენეკ გრიგერა(?), ფილიპ სენდეროსი, კერიმ ფრეი, სიმონ დევისი

**სუონსი-სანდერლენდი**

სუონსი: ***ტრავმ***-გარი მონკი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-ვესლი ბრაუნი, დევიდ ვაუგანი, ფილ ბიორდსლი

**ვესტ ბრომვიჩი-ევერტონი**

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-გრეჰემ დორანს

ევერტონი: ***ტრავმ***-არავინ

**უიგანი-სტოკი**

უიგანი: ***ტრავმ***-შონ მელოუნი

სტოკი: ***ტრავმ***-ჯერმეინ პენანტი; დისკვ-დან ვაითჰედი

**ტოტენჰემი-ნორვიჩი**

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-იუნის ქაბული, აურელიო გომესი, ჯოვანი დოს სანტოსი, სკოტ პარკერი

ნორვიჩი: ***ტრავმ***-ელიოტ ბენეტი, დევიდ ფოქსი, ელიოტ უორდი, სტივენ ვაითაკერი

**სიტი-ქპრ**

სიტი: ***ტრავმ***-სერხიო აგუერო, გარეთ ბერი, მიკა რიჩარდსი

ქპრ: ***ტრავმ***-ალეხანდრო ფორლინი, კირონ დაიერი, არმანდ ტრაორე; ***დისკვ***-ჯო ბარტონი

**ლივერპული-არსენალი**

ლივერპული: ***ტრავმ***-ენდი კეროლი(?), ხოსე ენრიკე(?), ჯო კოული; ***დისკვ***-დანიელ აგერი

არსენალი: ***ტრავმ***-ლორენ კოსიელნი, ტომაშ როსიცკი, ბაქარი სანია, ემანუელ ფრიმპონგი, ჯეკ უილშირი

**ნიუკასლი-ასტონ ვილა**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-შოლა ამეობი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-გაბრიელ აბგონლაჰორი, სტილიან პეტროვი, მარკ ალბრაიტონი, რიჩარდ დანი

**საუთჰემპტონი-მანჩესტერი**

საუთჰემპტონი: ***ტრავმ***-ტადანარი ლი, ჯეკ კორკი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-რიო ფერდინანდი, დარენ ფლეტჩერი, ჯონათან ევანსი, ფილ ჯონსი, კრის სმოლინგი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| 2.სუონსი | 2 | 2 | 0 | 0 | 8:0 | 6 |
| 3.ევერტონი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| 4.ვესტ ბრომვიჩი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| 5.სიტი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| 6.ფულემი | 2 | 1 | 0 | 1 | 7:3 | 3 |
| 7.მანჩესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| 8.უიგანი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| 9.ნიუკასლი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| 10.ვესტ ჰემი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| 11.სტოკი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| 12.არსენალი | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| 13.სანდერლენდი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 14.ტოტენჰემი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| 15.რედინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
07.30, 08.10, 09.15 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45, 05.00, 07.00 ქრონიკა. 10.05 სერ. "**ილბლიანი მოახლე**" 11.30 ქრონიკა + 11.50 სერ. "**უკვდავი ამბავი**" 12.30 დღის შოუ. 14.40 სიმართლის დრო 15.40 სერ. "**მოჯადოებული**" 17.40 სერ. "**მეწამული ცა**" 18.40 სერ. "**შურისძიების სახელით**" 21.00 სერ. "**მემკვიდრეები**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 ქართ. სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" 00.00 ღამის შოუ. 01.00 თბილისი LIVE. 02.10 მხ.ფ. "**უცხოპლანეტელი 3**" (ს. უივერნი) 04.00 მხ.ფ. "**პირდაპირი მოქმედება**"(12) დ. ლუნდგრენი. 05.50 მუსიკა.

07.30 დილამშვიდობისა საქართველო. 10.00 სერ. "**ქალის მსხვერპლი**". 11.00 სერ. "**ექიმი და სიყვარული**". 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები. 13.00 შუადღე. 15.30 სერ. "**თანამედროვე ოჯახი**" 17.00 სერ. "**ტერეზა**" 18.45 სერ. "**მგზნებარე გული**" 19.50 სერ. "**ველური ყვავილი**" 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.00 სერ."**ალუბლების ქუჩა 12**" 00.00 MTV PUNK'D 00.30 MTV Boyling Points 01.00 მხ.ფ. (ტიტ.) 03.00 კურიერის დაიჯესტი.

08.00 ან.ფ. "პრინცესა შეჰერაზადა". 08.55 სერ. "**ჩემი შეყვარებული**" 09.45, 12.00, 15.00, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ.ფ. 12.15 სერ. "**პოლიციელთა ამბები**" 13.00 მხ.ფ. 15.15 პულსი (გან.) 15.45 ან.ფ. 17.10 სერ. "**ვერონიკა მარსი**" 18.00 მხ.ფ. 20.00 სერ. "**ტყუპები**" 21.00 სერ. "**გაუხსნელი საქმე**" 22.00 მხ.ფ. 23.50 მხ.ფ. 01.50 მხ.ფ.

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 15.15 დოკ.ფ. 10.30 დოკ.ფ. 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერიალი "**საგა**" 12.50 სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" 13.50 სცენა 15.15 დოკ. ფ. 16.00 დოკ. ფ. 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფ. 19.30 ანონსი. 19.35 სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" 23.00 მხ. ფ. "**დიდი ღრეობა**" 02.00 მხ. ფ. "**წარმოუდგენელი**"

ერთსულოვნება 0830 განთიადი. 10.00, 18.05 ერთსულოვნების ვერნისაჟი. 10.05, 12.10, 18.55, 00.30 ისტორიის დღიური. 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი. 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება. 10.40 დოკ. ფ. "პირიქითა ხევსურეთი". 11.10 ირაო. 11.20 ჩვენი ტრაპეზი. 11.30 გზა, რომლითაც ვიარე. 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა. 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი. 12.05 ამინდი. 12.15 მხ. ფ. "**იმერული ესკიზები**". 13.30 კონცერტი. 15.05, 18.55, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10, 00.35 განთიადის სტუმარი. 15.35 დოკ. ფ. "მოგზაურობა ბართ ვულფთან ერთად". 16.00 დები ტრევისის საოცარი სახლი. 16.25 დოკ. ფ. "ველური ბუნება". 16.35 დოკ. ფ. "იერუსალიმი". 16.50 მხ. ფილმი "**მამლუქი**". 18.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. 18.25 დიდ ხარ შენ, უფალო. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.20 მხ. ფ. "**ჩარირამა**". 20.40 ძილი ნებისა. 21.00 პატრიარქის ქადაგება. 21.05 ერთსულოვნების სალონი. 22.25, 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები. 23.00 საღამოს ლოცვა. 01.00 მხ. ფ. "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" 11-12 სერ.

## პარასკევი 7 სექტემბერი

07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.00 დოკ. ფ. "როცა ეგვიპტელები წითელ ზღვაზე დაცურავდნენ". 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.40 მოამბე 09.30 ან.ფ. "ზვიგენის ამბავი" 10.30 მხ.ფ. "**ცალრქას მოგზაურობა**" 12.45 დოკ. ფ. "გზის თეატრის თავგადასავალი". 14.00 ჩვენი ეზო 15.00 სერ. "**დეტექტივი**" 17.00 ავტოპილოტი 18.00 პეპე და მეგობრები 19.05 სერიალი "**მონადირე**" 20.50 **ფეხბურთი**. საქართველო - ბელორუსი. (პირდ.) 22.50 ქართული დოკუმენტალისტიკა. 00.00 წითელი ზონა. 01.00 მხ. ფ. "**ლოსტომანია**" (კ. რასელი) 03.00 მხ. ფ."**მოლ ფლანდერსი**" 05.00 მხ.ფ."**ნაპოლეონ დინამიტი**"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.30, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 13.45, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 დოკ.ფ. "უძველესი აღმოჩენები". 14.00, 16.00, 19.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 17.00 დოკ. ფ. "მსოფლიო ოდისეები – გერმანია" 20.00 მხ.ფ. "**ადამიანების ოჯახი**" 00.00 მხ. ფ. "**ლარა კროფტი: სამარხების მძარცველი, სიცოცხლის აკვანი**"

07.30, 08.10, 09.15 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00, 05.00, 07.00 ქრონიკა. 10.05 სერ. "**ილბლიანი მოახლე**" 11.30 ქრონიკა + 11.50 სერ. "**უკვდავი ამბავი**" 12.30 დღის შოუ. 14.40 სიმართლის დრო 15.40 სერ. "**მოჯადოებული**" 17.40 სერ. "**მეწამული ცა**" 18.40 სერ. "**შურისძიების სახელით**" 21.00 სერ. "**მემკვიდრეები**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 ქართ. სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" 00.00 თოქ შოუ – 100 C . 02.25 დოკ.ფ. "ბიკინის სამყარო" 03.25 მხ. ფ. "**კომანდო**" (ა. შვარცენეგერი) 05.15 მხ.ფ. "**საშობაო ამბავი**" პ. კრუსი. 06.50 მუსიკა.

07.30 დილამშვიდობისა საქართველო. 10.00 სერ. "**ქალის მსხვერპლი**". 11.00 სერ. "**ექიმი და სიყვარული**". 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 სხვა ამბები. 13.00 შუადღე. 15.30 სერ. "**თანამედროვე ოჯახი**" 17.00 სერ. "**ტერეზა**" 18.45 სერ. "**მგზნებარე გული**" 19.50 სერ. "**ველური ყვავილი**" 21.50 ეროვნული ლატარეა. 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.00 სერ. "**ალუბლების ქუჩა 12**" 00.00 MTV PUNK'D 00.30 MTV Boyling Points 01.00 მხ.ფ. (ტიტ.) 03.00 კურიერის დაიჯესტი.

08.00 ან. ფ. "პრინცესა შეჰერაზადა". 08.55 სერ. "**ჩემი შეყვარებული**" 09.45, 12.00, 15.00, 17.00 ტვ-მარკეტი 10.00 მხ. ფ. 12.15 სერ. "**პოლიციელთა ამბები**" 13.00 მხ.ფ. 15.15 ან.ფ. 17.10 სერ. "**ვერონიკა მარსი**" 18.00 მხ. ფ. 20.00 "105 წუთი" ლაშა ღვალიაშვილთან ერთად 21.00 სერ. "**გაუხსნელი საქმე**" 22.00 მხ.ფ. 00.15 მხ.ფ. 02.00 მხ.ფ.

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 დოკ. ფ. 10.30 დოკ. ფ. 11.10, 14.10, 17.10 ინგლისურის გაკვეთილი 11.40, 15.00, 18.00 თურქულის გაკვეთილი 11.50, 21.25 სერიალი "**საგა**" 13.00 სამედ. გად. "იმპულსი" 13.30, 19.35 სერ. "**წყნარი ოკეანის მარგალიტი**" 15.15 დოკ. ფ. 16.00 დოკ. ფ. 16.30 დროის ვექტორი 18.15 დოკ. ფ. 19.30 ანონსი. 23.00 მხ. ფ. "**ძვირფასო ვენდი**" 01.00 მხ. ფ. "**თოვლის კაცი**"

ერთსულოვნება 0830 განთიადი. 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი. 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.30 ისტორიის დღიური. 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი. 10.35, 21.25 ლექსით ქებათა ქება. 10.40 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები. 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა. 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი. 12.05 ამინდი. 12.15 მხ. ფ. "**ჩარირამა**". 13.30 კონცერტი. 15.00, 18.55, 22.55 ერთი ნივთის ისტორია. 15.10, 00.35 განთიადის სტუმარი. 15.35 დოკ. ფ. "მოგზაურობა ბართ ვულფთან ერთად". 16.00 დები ტრევისის საოცარი სახლი. 16.25 დოკ. ფ. "ველური ბუნება". 16.50 ირაო. 17.10 დოკ. ფ. "პალესტინის სი'ველეთა საიდუმლო". 18.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. 18.20 დიდ ხარ შენ, უფალო. 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.20 მხ. ფ. "**ერთი ცის ქვეშ**". 20.40 ძილი ნებისა. 21.05 პატრიარქის კადაგება. 21.30 მოგზაურობა სამშობლოში. 22.25 ჩვენი ფონდი. 23.00 საღამოს ლოცვა. 23.15 დრო და ტრადიციები. 01.00 კვირიაკე.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

## შაბათი 8 სექტემბერი

07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.30 ან. ფილმი "ჩარეცხილი". 09.35 საბ. მხ. ფილმი "**პოლი**" 11.00 ეთნოგრაფიული ნარკვევები 11.15 ვაკა-პედია 11.30 ბავშვობანა 12.00, 16.00, 20.00, 02.40 მოამბე 12.30 ქართ. ფ. "**ნუცას სკოლა**". 14.10 მხ.ფ. "**საფნის ოპერა**" (კ. კლაინი) 16.30 ჩემპიონთა ლიგის დღიური. 17.00 ქართ. ტ.ფილმი "**პატარა დეტექტივი**". 17.30 მედინფო. 17.55 **კალათბურთი**. ლატვია – საქართველო. (პირდ.) 21.00 ვახო სანაიას რეპორტაჟი. 22.00 სერ. "**ცისფერი ველოსიპედი**". 23.00 კონცერტი "ლუჩანო პავაროტი" 00.00 ავტოპილოტი 01.00 მხ. ფ. "**ცეცხლოვანი კედელი**" ს. ფორდი. 03.00 მხ. ფ. "**წითელი ზონა**" 04.05 მხ. ფ. "**თემა**" 05.45 მხ. ფილმი "**პოსეიდონის თავგადასავალი**" (ა. ბოლდუინი)

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 10.00, 15.00 ბრიფინგის დროით. კვირის დაიჯესტი 17.00 მხ.ფ. "**ყასაბის ცოლი**" 19.00 დოკ. ფ. "ჟან-ფოლ გოტიე" 20.00 მხ.ფ. "**ხასიათის შეუთავსებლობა**" 22.00 მხ.ფ. "**რბოლა მთვარესთან ერთად**" 00.00 მხ.ფ. "**მექსიკელი**"

08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.50, 05.00, 07.00 ქრონიკა. 08.15 სერ. "**მონასტრებთან მებრძოლები**" 9-სერ. 09.15 ან. ფ. "ბარბი პრინცესა და ღარიბი გოგონა". 11.15 ან. ფ. "**ავატარი**" 11.45 სერ. "**კამელოტი**" 9-სერ. 12.50 საბავშვო გადაცემა. 14.30 სერ. "**მონკი**" 6-სერ. 15.50 სერ. "**რომი**" 12-სერ. 17.40 სერ. "**მეწამული ცა**" 18.40 სერ. "**შურისძიების სახელით**" 20.30 სერ. "**დაუთარსული კვირა**" 4-სერ. 21.00 სერ. "**მემკვიდრეები**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" 00.00 დოკ. ფ. 01.00 რომ გადახვალ გაჩერე. 01.25 დოკ. ფ. "ბიკინის სამყარო" 01.55 მხ.ფ. "**ილაიას წიგნი**" (დ. ვაშინგტონი) 04.15 მხ.ფ. "**წერილები ჯულიეტასთვის**" (გ. ბერნალი) 06.05 მუსიკა.

08.00 კურიერის დაიჯესტი 08.30 MTV CRIBS 09.00 MTV ROOMRAIDERS 09.30 MTVMYSUPER SWEET 10.00 MTVMADE 10.00 გუნდი 1. 10.30 PIMPMYRIDE 11.00 MTVLAGUNA BEACH. 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 14.00 სერ. "**ზეციდან მოსულები**" 15.30 სერ. "TERRA NOVA" 17.00 სერ. "**თეთრი საყელო**" 19.00 სერ. "**ექიმი ჰაუსი**" 19.50 სერ. "**ველური ყვავილი**" 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**" 23.00 სერ. "**ალუბლების ქუჩა 12**". 01.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა. 01.30 MTVBUSTED 02.00 MTV JACKASS 02.30 მხ.ფ. (ტიტ.) 05.30 მხ.ფ. (ტიტ.)

08.00 მხ. ფ. 09.45, 10.45, 13.55, 17.10 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "**ჩემი შეყვარებული**" 11.00 პულსი 11.30 ან.ფ. 12.15 სერ. "**პოლიციელთა ამბები**" 13.00 სერ. "**ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია**" 14.10 სერ. "**ფანტაზიების კუნძული**" 15.00 მხ.ფ. 17.15 სერ. "**ვერონიკა მარსი**" 18.00 მხ.ფ. 20.00 სერ. "**ტყუპები**" 21.00 სერ. "**გაუხსნელი საქმე**" 22.00 მხ.ფ. 00.00 მხ.ფ. 01.45 მხ.ფ.

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 ანიმაცია 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30 მუსიკა 13.00, 21.25 სერიალი "**საგა**" 13.30 1 000 წვრილმანი 15.00 დოკ. სერ. "ჯეიმს ოლივერი" 15.30 სერ. "**მკვლელობები მიდსომერში**" 17.00 დოკ. ფ. "დიადი მუსიკა" 18.00 დოკ. ფ. "ძლიერი მოთამაშეები" 18.30 მხ. ფ. "**მთავარი როლი**" 23.00 მხ. ფ. "**99 ფრანკი**" 01.10 მხ. ფ. "**ჩემი საუკეთესო მეგობარი**"

ერთსულოვნება 0830 ჩვენი ფონდი. 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა. 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი). 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 22.55, 00.25 ისტორიის დღიური. 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი. 10.35 მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები. 10.40 კვირიაკე. 12.05 ამინდი. 12.15 მხ. ფილმი "**ერთი ცის ქვეშ**". 13.30 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები. 15.05, 18.50, 22.50 ერთი ნივთის ისტორია. 15.10 ოპერა "**ორფეოსი და ევრიდიკა**". 18.10 საქართველოს ქალაქები. 18.35 ძველი აღთქმის განმარტებანი. 19.20 ქართული ალბომი. 19.45 გამოყენებითი ხელოვნება. 21.00 ერთსულოვნების სალონი. 21.05 პატრიარქის ქადაგება. 21.25 ლექსით ქებათა ქება. 21.30 კარაბადინი. 22.20 ჩვენი ფონდი. 23.00 საღამოს ლოცვა. 23.15 ქართული ხმები. 00.30 მხ. ფ. "**მამა გორიო**".

## კვირა 9 სექტემბერი

08.20 ან. ფილმი "ჭიანჭველაზი". 09.45 საბ. მხ.ფ. "**ზევსი და როქსანა**" 11.20 ეთნოგრაფიული ნარკვევები 11.40 ვაკა–პედია 12.00, 16.00 მოამბე 12.30 ჩვენი ფერმა 13.00 სი ბემოლი. 14.00 მხ. ფ. "**ლურჯი მაისურები**" (ნ. ნოლტი) 16.30 ჩვენი ეზო. 17.30 ვაშინგტონი დღეს 18.00 მხ.ფ. "**ტერმინალი**" (კ. ზეტა ჯონსი) 20.00 აქცენტები. 21.00 ცხოვრება მშვენიერია. 22.00 სერ."**მადამ დე მონსორო**" 23.00 აღმოაჩინე საქართველო. 23.30 უცნობი მუსიკა. 00.30 კონცერტი. ტომ უეითსი. 01.30 მხ.ფ. "**ვინ აააჟუნებს ჩემს კარზე**" (ხ. კეიტელი) 03.00 მხ.ფ. "**ცეცხლოვანი კედელი**" 04.40 მხ.ფ. "**შეთქმულება მეფის წინააღმდეგ**"

08.00 დოკ. ფ. "ბრინჯის მთლობელები" 09.00 ბრიფინგის დრო 10.00 მხ.ფ. "**უცხო გული**" 11.40 დოკ.ფ. "მსოფლიო ქალაქები - ვენეცია" 12.20 მხ.ფ. "**ჰარი პოტერი და ცეცხლოვანი თასი**" 15.00 მხ.ფ."**უზრალოდ დესერტი**" 17.00 დოკ. ფ. "ბალადა დედამიწისთვის". 18.00 მხ. ფ. "**ნაბიჯი წინ**" 20.00 მხ. ფ. "**ადამსების ოჯახის ღირსებები**" 22.00 მხ. ფ. "**სასკოლო კავშირები**" 00.00 მხ.ფ."**განსხვავებული აზრი**"

08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 01.55, 05.00, 07.00 ქრონიკა. 08.15 სერ. "**მონასტრებთან მებრძოლები**" 10-სერ. 09.15 ან.ფ. "ბარბი 12 მოცეკვავე პრინცესა" 11.15 ფორტ ბოიარი. 11.45 სერ. "**კამელოტი**" 10-სერ. 12.50 საბავშვო გადაცემა. 14.30 მხ. ფ. "**მიალწიე წარმატებას**". 17.40 იმედის გმირები 17.55 სპეციალური რეპორტაჟი. 18.50 ქართ. სერ. "27 **დრაკონი**" 6-სერ. 20.00 კაცების შოუ 21.00 ღამის შოუ 22.00 სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" 00.00 მან სან კანის ჩემპიონთა ლიგა. 01.25 დოკ. ფ. "ბიკინის სამყარო" 02.20 მხ. ფ. "**საქორწინო წვეულება**" მ. დუგლასი 03.55 მხ. ფ. "**თაფლობის თვე**" დ. კრედანი. 05.40 მუსიკა.

08.00 კურიერი დაიჯესტი. 08.30 MTVCRIBS 09.00 MTVROOM RAIDERS 09.30 MTVMYSUPERSWEET 10.00 MTV MADE 10.00 გუნდი 2. 10.30 PIMPMYRIDE 11.00 MTVENGAGED&UNDERAGED 12.00, 15.00, 18.00, 04.30 კურიერი 12.30 ჯეო მეგზური. 13.00 შიშის ფაქტორი. 14.00 სერ. "**ზეციდან მოსულები**" 15.30 სერ. "TERRANOVA" 17.00 სერ. "**თეთრი საყელო**" 18.30 სიცილის ზონა. 19.00 სერ. "**ექიმი ჰაუსი**" 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს. 21.00 P.S. 22.00 სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". 23.00 სერ. "**ალუბლების ქუჩა 12**". 00.30 MTVPARISHILTON'S:MY NEWBFF 01.00 TIARAGIRLS 02.00 MTV BUSTED 02.30 MTV JACKASS 03.30 მხ.ფ. (ტიტ.) 05.30 მხ.ფ. (ტიტ.)

08.00 მხ. ფ. 09.45, 10.45, 13.55, 17.10 ტვ-მარკეტი 10.00 სერ. "**ჩემი შეყვარებული**" 11.00 პულსი 11.30 ან. ფ. 12.15 სერ. "**პოლიციელთა ამბები**" 13.00 სერ. "**ჩემი მეგობარი უცხოპლანეტელია**" 14.10 სერ. "**ფანტაზიების კუნძული**" 15.00 მხ. ფ. 17.15 სერ. "**ვერონიკა მარსი**" 18.00 მხ. ფ. 20.00 სერ. "**ტყუპები**" 21.00 სერ. "**გაუხსნელი საქმე**" 22.00 მხ.ფ. 00.35 მხ.ფ.

08.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 02.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30 ფერისცვალება (გან.) 10.00 დილის ტალღა 12.00 სერიალი "**ნენსი დრიუ**" 12.30 მუსიკა 13.00, 21.15 სერიალი "**საგა**" 15.00 დოკ. სერ. "ჯეიმს ოლივერი" 15.30 სერ. "**მკვლელობები მიდსომერში**" 17.00 დოკ. ფ. "დიადი მუსიკა" 18.00 დოკ. ფ. "ძლიერი მოთამაშეები" 18.30 მხ. ფ. "**კორდაბალები**" 23.00 მხ. ფ. "**ანა ნიკოლი**" 00.30 მხ. ფ. "**დაქირავებული მკვლელები**"

ერთსულოვნება 0800 დილის ლოცვა. 08.20 სახარება. 08.30 ჩვენი ფონდი. 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა. 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი. 09.05 განთიადი (კოლაჟი). 10.05, 21.30 ერთსულოვნების ვერნისაჟი. 10.15 სიახლენი. 10.40, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური. 10.45 ქართული ხმები. 11.25 მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები. 11.30 ქართული ალბომი. 12.05 ამინდი. 12.15 ერთსულოვნების სალონი. 13.10 გუთნისდედა. 13.40 ჩვენი ტრაპეზი. 13.50 საქართველოს ქალაქები. 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება. 15.25 მგზავრები წუთისოფლისა. 15.55 გზა, რომლითაც ვიარე. 16.20 დრო და ტრადიციები. 16.45 სალვთისმეტყველო საუბრები. 17.30 საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია. 18.05 პატრიარქის ქადაგება. 18.30 დროის ჩანაწერები. 19.30 მხ. ფ. "**ჩვენი ეზო**". 21.05 პატრიარქის ქადაგება. 21.35 ლექსით ქებათა ქება. 21.40 კვირიაკე. 23.00 საღამოს ლოცვა. 23.15 გაცოცხლებული წარსული. 00.10 პატრიარქის ქადაგება. 00.35 მხ. ფ. "**კასაბლანკა**".

# ბრიტანელები პრინცესა დიანას იხსენებენ

15 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც „მერსედეს ბენცის“ მძღოლმა პარიზში პონტე დელ ალმას გვირაბში საჭეზე კონტროლი დაკარგა და გზის გამყოფ სვეტს შეეჯახა. ავტომობილში ბრიტანელების უსაყვარლესი პრინცესა – 36 წლის დიანა მეგობარ დოდი ალ-ფაიედთან ერთად იმყოფებოდა. ავარიის შედეგად ორივე დაიღუპა.



პრინცესას დაღუპვის ამბავი უსწრაფესად გავრცელდა და მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. მისმა სიკვდილმა გული მილიონობით ადამიანს დასწყვიტა.

მიუხედავად იმისა, რომ პრინც ჩარლზთან განქორწინების გამო დიანა მისი სამეფო უდიდებულესობის ტიტულით აღარ სარგებლობდა, იგი მაინც სამეფო პატივით დაკრძალეს. ცერემონიალს მსოფლიოს მასშტაბით მილიონობით ადამიანი ადევნებდა თვალს.

მას შემდეგ, 15 წლის განმავლობაში, 31 აგვისტოს პრინცესა დიანას საფლავზე კენსინგტონის სასახლესთან ათასობით ბრიტანელი მიდის და საყვარელი პრინცესას ხსოვნას პატივს მიაგებს. დიანას ფანები ლონდონის გარეუბანში მდებარე „კაფე დიანაშიც“ იკრიბებიან. ესაა პატარა რესტორანი, რომლის წინაც უელსის პრინცესამ ერთხელ საკუთარ შვილებთან ერთად ჩაიარა. იგი დაინტერესდა, თუ რატომ ერქვა რესტორანს მისი სახელი და მის მფლობელს გაესაუბრა. ამის შემდეგ დიანა რესტორანს ხანგამოშვებით სტუმრობდა. ხალხის ნაწილი ლონდონის ჰაიდ პარკის მახლობლად მდებარე დიანას სახელობის შადრევანთანაც გროვდება. მათი საუბრის ძირითადი თემა კვლავაც დაუვიწყარი დიანაა. პრინცესა დიანასადმი ხალხის სიმპათია განსაკუთრებით პრინც ჩარლზთან განქორწინების შემდეგ გაიზარდა. ერთ-ერთ ინტერვიუში ბრიტანელების საყვარელმა პრინცესამ განაცხადა, რომ მისი ქორწინება იყო სამი ადამიანის თანაცხოვრება – დიანა, ჩარლზი და კამილა. ეს უკანასკნელი ჩარლზს ბავშვობიდან უყვარდა და სწორედ მასზე დაქორწინდა დიანას გარდაცვალებიდან 8 წლის შემდეგ. პრინცესა დიანას გარდაცვალების წლისთავთან დაკავშირებით ლონდონში არავითარი ღონისძიება დაგეგმილი არ არის. ბრიტანელები უარყოფითად აფასებენ იმ ფაქტს, რომ სამეფო ოჯახი პრინცესას დასავიწყებლად ყველაფერს აკეთებს.

ყოველ წელს პრინცესას ცხოვრების შესახებ რამდენიმე ფილმი და წიგნი გამოდის. ახლაც ორი ფილმის გადაღება მიმდინარეობს.

განუმეორებელი სტილის მქონე და მოდურობის სიმბოლო დიანა ჟურნალების გარეკანებს აღარ იპყრობს. ახლა პოპულარობით მისი უფროსი ვაჟი – პრინცი უილიამსი, თავის ახლადშერთულ მეუღლე კეიტ მიდლტონთან ერთად დომინირებს. მიუხედავად ამისა, დიანას ფარული გავლენა ყველგან იგრძნობა. ახლაც ყველას ყურადღება გამახვილებულია იმაზე, შეძლებს თუ არა ახალი პრინცესა – ქეით მიდლტონი დიანას მსგავსად ბრიტანელების გულის დაპყრობას.

დიანა, უელსის პრინცესა, ქალიშვილობის გვარით სპენსერი, დაიბადა 1961 წლის 1 ივლისს სანდრიგემში, ნორფოლკი – დაიღუპა პარიზში 1997 წლის 31 აგვისტოს. ის იყო პრინც ჩარლზის პირველი ცოლი და ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრე. ცნობილია, როგორც პრინცესა დიანა, ლედი დიანა ან ლედი დი.

დიანა გრაფ სპენსერის ქალიშვილი და სპენსერ-ჩერჩილების ოჯახის წარმომადგენელი იყო, საიდანაც ჰერცოგი მელბურნი და უინსტონ ჩერჩილი იყვნენ. დიანამ პრინცი ჩარლზი საქველმოქმედო სალამოზე გაიცნო, 1981 წელს კი ცოლად გაჰყვა. ერთი წლის თავზე პირველი ვაჟი უფლისწული უილიამი შეეძინათ, 1983 წელს კი მეორე ვაჟი ჰარი დაიბადა.

**გ.მ.**

# ასე სდევნის ხელისუფლება ბიზნესმენებს

მართალია, დე ფაქტო პრეზიდენტი სააკაშვილი მუდმივად აღმშენებლობაზე ლაპარაკობს, მაგრამ სინამდვილეში საქართველოში თავისუფალი ბიზნესგარემო არ არსებობს. ყველა სახის ბიზნესს ხელისუფლება ლობირებს და შესაბამისად, მხოლოდ იმ ბიზნესმენებს აძლევს გასაქანს, რომლებიც ხელისუფლების პოზიციებს იზიარებენ, თანაც ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ნათესავები, მეგობრები და ახლობლები არიან. არც წარმოება ვითარდება, რადგან მეწარმეებს, რომლებიც მთელ სარჩო-საბადებელს აბანდებენ ბიზნესში, შეთითხნილი ან უმნიშვნელო მიზეზით აპატიმრებენ, მრავალწლიან სასჯელს უსჯიან, ხოლო შემდეგ საპროცესო გარიგებას უდებენ და ციხიდან გამოშვების ან მრავალწლიანი სასჯელის ცოტათი შემცირების სანაცვლოდ ბიზნესსაც ართმევენ და დიდ ფულსაც ახდევინებენ. ვერცერთი ბიზნესმენი, რომელმაც უარი თქვა „ნაციონალური მოძრაობის“ და მათი პროექტების ნებაყოფლობით დაფინანსებაზე, ვერ გადაურჩა სააკაშვილის ხელისუფლების მსახვრალ კლანჭებს. ყველა მეწარმეს და ბიზნესმენს, რომელსაც თუნდაც მცირედი შემოსავალი აქვს, არაოფიციალურად ავალდებულებენ, წილი შეიტანოს „ნაციონალების“ ყულაბაში. ხელისუფლებამ თითოეული ბიზნესმენის ზუსტი შემოსავალი იცის, უკანასკნელ თეთრამდე, და თუ მათ საქმის კეთება სურთ, თუ თავისუფლების შენარჩუნება სურთ, ხარკიც უნდა გაიღონ. ეს არის ხელისუფლების მხრიდან ბიზნესის რეკეტი და არქიფო სეთურის ყმების არ იყოს, ხელისუფლება მათ ზუსტად იმდენს უტოვებს საკუთარი ნაშრომიდან, რომ შიმშილით სული არ ამოსძვრეთ, დანარჩენი თავისკენ მიაქვს. ასეთ სიტუაციაში, თავმოყვარე ადამიანი ალბათ საერთოდ შეწყვეტდა საქმიანობას, თუმცა ბიზნესმენთა და მეწარმეთა დიდ ნაწილს არც ამის გაკეთება შეუძლიათ, რადგან მთელი ქონება ამ ბიზნესის თუ წარმოების ამოქმედებაში ჩადეს, თანაც ბანკის ვალებიც ხომ დასაფარი აქვთ, თავისი პროცენტებით... ამიტომ ინერციით აგრძელებენ საქმიანობას და როცა განსაკუთრებული წნეხის ქვეშ მოყოლილები მცირედ პროტესტს გამოხატავენ, ციხეშიც ხვდებიან...

ჩვენ გთავაზობთ 140-მდე სხვადასხვა დონის მეწარმისა და ბიზნესმენის სიას,რომლებიც სწორედ ურჩობის და ხარკზე უარის თქმის გამო დაიჭირეს, თუმცა სხვადასვა მუხლით შეუთითხნეს დანაშაული. აქ ჩამოთვლილი ადამიანებიდან, ზოგი უკვე თავისუფალია, თუმცა სრულიად გაკოტრებული... უმრავლესობა კი, უკანონოდ მისჯილი სასჯელის მოხდას აგრძელებს, ძირითადად სასჯელაღსრულების №8 გლდანის, ასევე სხვა დაწესებულებებში (სია იხ. სტატიის ბოლოს).

თუ მსჯავრდებული ბიზნესმენების დაპატიმრების საფუძვლებს გავაანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ ყველაზე მეტი მათგანი სისხლის სამართლის კოდექსის 210 -ე მუხლით იხდის სასჯელს, რაც ყალბი საკრედიტო ან საანგარიშსწორებო ბარათის დამზადებას, გასაღებას ან გამოყენებას გულისხმობს. ამის მერე, „ლიდერობს“ 194-ე მუხლი, რაც კვალიფიცირდება, როგორც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ანუ ფულის გათეთრება. ბევრი მათგანია დაპატიმრებული 180-ე მუხლის (თაღლითობა) ფარგლებში; 182-ე მუხლითაც (მითვისება ან გაფლანგვა) ბევრი იხდის სასჯელს. არიან ან მსჯავრდებულები 223 -ე (უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა ან და მასში მონაწილეობა) მუხლითაც, ასევე 286-ე ( ეგმ-ის სისტემის ექსპლუატაციის წესების დარღვევა) მუხლის ფარგლებში. მეწარმეთა შედარებით მცირე რაოდენობას წაყენებული აქვს 314 -ე (ჯაშუშობა) 260-ე (ნარკოტიკთან დაკავშირებული დანაშაული ) 193-ე (ცრუ მეწარმეობა) და 214 -ე (საბაჟო წესების დარღვევა) მუხლები. ამას გარდა, სხვადასხვა მუხლებით კიდევ არიან ბიზნესმენები პატიმრობაში, ოღონდ ამ მუხლების განხილვა არ ღირს, რადგან მათ საფუძველზე თითო-ოროლა არის გასამართლებული.

მთლიანობაში წაყენებული მუხლების ანალიზი იძლევა დასკვნის გაკეთების საფუძველს,რომ დაპატიმრებულ ბიზნესმენთა უმრავლესობას დანაშაული სინამდვილეში არ ჩაუდენიათ და შეუთითხნეს. ან ჩადენილი აქვთ ისეთი მცირე გადაცდომა, რომლისგანაც ჩვეულებრივ სიტუაციაში მოქალაქე დაზღვეული არ არის და რომ არა შურისძიების ინტერესი, ეს მცირე დანაშაული შეუმჩნეველიც კი დარჩებოდა...აღსანიშნავია, რომ მეწარმეთა და ბიზნესმენთა უმრავლესობას მისჯილი აქვს არაადეკვატურად დიდი სასჯელები იმ დანაშაულის ხარისხთან შედარებით, რომელიც მათ ჩაიდინეს ან დააბრალეს.

ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ასეთ სიტუაციაში შეუძლებელია საქართველოში თავისუფლად განვითარდეს წარმოება და ბიზნესი. არის მოსაზრებაც, რომ ხელისუფლებას, გარკვეული გათვლების შესაბამისად, არც აწყობს საქართველოში წარმოებისა და ბიზნესის განვითარება, რადგან საქართველოს მოსახლეობის მომსახურე პერსონალად გადაქცევას ისახავს მიზნად, რაც ვერ მოხდება, თუ წარმოება ამოქმედდება და მოქალაქეებს საკუთარ ქვეყანაში ღირსეული, შრომის შესაბამისი შემოსავალი გაუჩნდებათ. ლაშა გაბისკირია, სპეციალურად პორტალისთვის – „პოლიტფორუმი“.

*ევრაზიის ინსტიტუტი*

## ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლჭ,ჭ,ბ

აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლობა აღმოსავლეთ საქართველოს თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ნანა ყუბანეიშვილს მამის

**ნოე ყუბანეიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ვაჟა, მარინა მალაღურაძეები, რძლები თამილა ჩიკვაიძე, მერი ჩანჩიბაძე, შვილიშვილები შოთა, დათო, დარეჯან მალაღურაძეები, მაია, თიკო ქვაცხავები, სიძეები მიშა სეფერგული, გოგა ძიძიკაშვილი, შვილთაშვილები ნინო, დათო, სალომე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დარეჯან თედორეს ასული კუტალაძე**

პანაშვიდი: 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს, 17 საათზე, ნუცუბიძის პლატო, IV მიკრორაიონი, კორპუსი 18, I სადარბაზო.

გამოსვენება: 2 სექტემბერს, 14 საათზე, ხარების სახელობის ეკლესიიდან (ნუცუბიძის პლატო III მ-რ, II კვარტალი).

---

შვილები პაატა და ქეთევან, სიძე პაატა ქავთარია, რძლები ხათუნა, გულნაზ რამიშვილები, თამარ სიხარულიძე, შვილიშვილები მარიამ, ზაზა ქავთარიები, მაქსიმე, ნანა, ელენე, ნიკოლოზ რამიშვილები, ბიძაშვილი ნელი რამიშვილი, მამიდაშვილი მარინა ფურცელაძე, ძმისშვილები ნინო, მარიკა, ზურაბ, მიხეილ, ლევან რამიშვილები, დისშვილები მარიკა, თიკა მიმინოშვილები, დეიდასშვილიშვილი მანანა აბაზაძე, სიძეები თემურ ორთოიძე, სერგო ორჯონიკიძე, მძახლები ლულუ, მიშა ქავთარიები იუწყებიან

**რამინ რამიშვილის**

გარდაცვალებას.

პანაშვიდი: 31 აგვისტოს და 1 სექტემბერს, 17 საათზე.

დაკრძალვა: 2 სექტემბერს, 14 საათზე.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, III კვარტალი, I კორპუსი.

---

ლულუ მენთეშაშვილი, მიხეილ ქავთარია, მარიამ, ზაზა ქავთარიები, გულიკო ქავთარია, ნელი გიგინეიშვილი ოჯახებით აუწყებენ საზოგადოებას

**რამინ რამიშვილის**

გარდაცვალებას.

**ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლჭ,ჭ,ბ ვბბქჭ,ფ .ჯდჭკლქჭ7 რდბჰბს უფჰლფ7 !@–ლფყ !& ცფფსფვლჭ8**

## ლქბს რფკჭყლფჰბ

### ! ცხმნცვ,ცჰბ



**წლის 245-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 121 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

სულთმოფენობიდან მე-13 შვიდეული. შაბათი

მოწამისა ანდრეა სტრატილატისა და მისთანა მრავალთა მოწამეთა (284) , მოწამეთა ტიმოთისა, აღაპისა და თეკლასი, პიტირიმისა, პერმელი ეპისკოპისისა.

### დაიბადნენ:

1870 – გიორგი გეხტმანი, ეკონომისტ-გეოგრაფი,პროფესორი. გარდაიცვალა 1956 წელს.

1877 – ფრენსის უილიამ ასტონი, ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. ააგო პირველი მას-სპექტრომეტრი და მისი საშუალებით ქიმიური ელემენტების 213 სტაბილური იზოტოპი აღმოაჩინა. გარდაიცვალა 1945 წელს.

1881 – მორის ბრეირი, ფრანგი ქართველოლოგი. გარდაიცვალა 1960 წელს.

1903 – ნიკოლოზ აგიაშვილი, ქართველი მწერალი, მთარგმნელი, ჟურნალისტი.

1909 – ალექსანდრე ფრანგიშვილი, ქართველი ფსიქოლოგი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

1925 – თენგიზ ღვინიაშვილი, მოქანდაკე, საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

1930 – გივი აზმაიფარაშვილი, დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი.

1935 – სოსო ცინცაძე, პოლიტოლოგი, პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

1962 – რუდ გულიტი, ჰოლანდიელი ფეხბურთელი.

### გარდაიცვალნენ:

1648 – მარინ მერსენი, ფრანგი ფიზიკოსი, მათემატიკოსი, ფილოსოფოსი.

1715 – ლუი XIV, საფრანგეთის მეფე.

### მოვლენები:

1661 – დაიწყო დიდი ხანძარი ლონდონში, რის შედეგადაც ქალაქის 80 პროცენტი განადგურდა.

1666 – რუსეთში წვერის ტარებაზე გადასახადი შემოიღეს.

1752 – გაიმართა თულქითაფას ბრძოლა. ქართველებმა ერეკლე II-ის წინამძღოლობით დაამარცხეს შაქის ხანი აჯი-ჩალაბი.

1752 – ჟაკ შარლმა ძმასთან, რობერტთან ერთად, განახორციელა პირველი თავისუფალი გაფრენა წყალბადის აეროსტატით.

1859 – ექსპლუატაციაში შევიდა პირველი საძილე ვაგონი.

1864 – სედანის ციხე-სიმაგრესთან ბრძოლაში საფრანგეთის არმია დამარცხდა გერმანია-პრუსიის ჯართან.

1916 – ბულგარეთმა ომი გამოუცხადა რუმინეთს.

1923 – იაპონიაში 7.9 ბალი სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. მთლიანად დაინგრა ქალაქი იოკოჰამა და ნაწილობრივ ტოკიო.

1926 – ალბანეთი სამეფოდ გამოცხადდა და მეფედ აირჩიეს ახმედ ბეგ ზოგუ.

1937 – მუსოლინიმ სამოქალაქო უფლებები ჩამოართვა ებრაელებს.

ჰიტლერმა ბრძანება გასცა ყველა გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანის განადგურების შესახებ.

1939 – დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. გერმანია შეიჭრა პოლონეთში.

1975 – ბანგლადეშში აიკრძალა პოლიტიკური პარტიები.

1983 – სსრკ-ს ტერიტორიაზე ჩამოაგდეს სამხრეთკორეული ავიალაინერი.

1985 – ამერიკა-საფრანგეთის ექსპედიციამ 4000 მეტრ სიღრმეზე ტიტანიკის ნამსხვრევები აღმოაჩინა.

### ღირსსახსოვარი დღეები:

მშვიდობის მსოფლიო დღე

ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა დღე

ბელორუსული დამწერლობისა და ბეჭდვითი სიტყვის დღე

უზბეკეთი – დამოუკიდებლობის დღე.

ბრუნეი – ყურანის აღმოჩენის დღე

ლიბია, ეგვიპტე – რევოლუციის დღე

მექსიკა – საპრეზიდენტო დღე.

პუერტო-რიკო – შრომის დღე.

ტანზანია – გმირების დღე.

სირია – ეროვნული ერთიანობის დღე.

**მედიანიუსი**



## hჰჯცღჯჰლბ ,

***შვეულად:*** 1. წყლის დიდი სივრცე, ოკეანის ნაწილი; 2. ელექტროობის წინაღობის საზომი ერთეული ფიზიკაში; 3. ქართველი საოპერო მომღერალი მამაკაცი, ბანი; 4. ქართული მონასტერი კუნძულ კვიპროსზე; 5. სოფელთა სახელწოდება შუა აზიაში; 8. წყალქვეშა კლდე; 9. ფრანგული თოჯინური თეატრის მთავარი პერსონაჟი; 10. ტბა სამხრეთ საქართველოში; 12. გემით ტვირთის გადაზიდვის საფასური; 13. ჯეიმს ჯოისის რომანი; 15. ცირკის მოედანი.

***თარაზულად:*** 1. ბუს მეორე სახელწოდება; 6. ქალაქი კახეთში; 7. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 10. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 11. ცნობილი ფრანგი კარიკატურისტი; 13. მუზეუმი ფლორენციაში; 14. ევროპისა და აზიის გამყოფი ქედი; 16. უძველესი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული საქართველოში; 17. პროდუქციაზე, ნაწარმზე დაკრული სავაჭრო ნიშანი; 18. მთვარიანი ღამე.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## ობყფ ყჯვცჰიბ უფვჯმღც.ყც,ეჯბ hჰჯცღჯჰლც,ბც გფცეკც,ბ5

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. ფრეგატი; 2. ბანკეტი; 3. უშგული; 4. „კოლტი“; 5. ბოტანიკა; 7. ინა; 11. შტამბი; 15. პრუნელი; 16. „შალახო“; 17. იოკაი; 18. „მაზდა“; 20. ზალპი; 22. „მახა“.

**თარაზულად**: 6. რენძიუ; 8. სადროშო; 9. ბალასტი; 10. გულიაში; 12. ბოლტი; 13. ირანი; 14. ქარაშოტი; 19. გლუკოზა; 21. ფორუმი; 23. არალი; 24. მარიხი; 25. „ოლიმპია“; 26. საქსონია.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. თორი; 2. ირი; 3. პლატფორმა; 4. ბურგი; 5. ბაჯაღლო; 8. „მახა“; 9. ზამბეზი; 10. გარანტია; 12. „აიაქსი“; 13. ფიატი; 15. აპაში.

**თარაზულად**: 1. თაკვერი; 6. კლაუზულა; 7. რომბი; 10. გოტიე; 11. შხარა; 13. ფობია; 14. აიაჩო; 16. ქადა; 17. ანორაკი; 18. კორიფე.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba


1 seqtemberi

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6421

ევრო —2,0162

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779

რუსული რუბლი — 0,0512

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 28–29, ღამით — 14–18;

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 23–26, ღამით — 15–17;

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 22–23, ღამით — 11–12;

## ამინდის პროგნოზი 1 სექტემბრისთვის




# seqtemberSi

# ახალ თაობასთან“

ერთად

# უნიკალური გამოცემა

# cfmfhsdtkjcbcnjhbf

# ერთ წიგნად/

დავით მუსხელიშვილის, მიხეილ სამსონაძისა და ალექსანდრე დაუშვილის მონოგრაფია სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომია, გამიზნული როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოებისთვის. მასში მოკლედ და მკაფიოდაა გადმოცემული ჩვენი ქვეყნის თავგადასავალი უძველესი დროიდან 2009 წლამდე.

## იუმორი



❖ ❖ ❖

– ასე დიდ ნაბიჯებს რატომ დგამ?

– ფეხსაცმელებს ვუფრთხილდები...

❖ ❖ ❖

– რამდენი წლის ხარ?

– არ იცი, რომ ქალს ასაკს არ ეკითხებიან?

– კარგი. დაბადების დღე როდის გაქვს?

– 24 მარტს.

– რომელ წელს?

– არ დაიჯერებ და ყოველ წელს.

❖ ❖ ❖

ტელეშოუ:

– ახლა კი ვუხმობთ ქალბატონს, რომელმაც 15 ყოფილი ქმრიდან არც ერთს არ აპატია ღალატი...

❖ ❖ ❖

– არაყზე რას იტყვი?

– არ ვსვამ.

– აბა, რას უშვრები?

## hჳxცეxჳლb ფ

***შვეულად:*** 1. დამუხლული ღრუ ღეროს მქონე ტროპიკული მცენარე; 2. უნივერსიტეტი პარიზში; 3. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 4. ვულკანური წარმოშობის ძალზე მსუბუქი ფოროვანი ქანი; 5. უბანი თბილისში; 7. ფუტკრის სადგომი; 11. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 15. მოკლე დისტანციებზე მოასპარეზე სადოლე ცხენი; 16. ესპანური წესით დამზადებული შებოლილი ღორის შაშხი; 17. გემთმშენებელი საწარმო; 18. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 20. მგალობელი ჩიტი; 22. მცირეალკოჰოლიანი გამაგრილებელი სასმელი.

***თარაზულად:*** 6. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ესპანელი ავტომრბოლელი; 8. ქართული მინერალური წყალი; 9. დაჩეჩილი მატყლი წმინდა შალის ქსოვილების დასამზადებლად; 10. რაიონული ცენტრი იმერეთში; 12. მადნის, ნახშირისა და სხვა ნივთიერებათა ნარევი, რომლისგანაც ლითონს ადნობენ; 13. უდანაშაულობის დამამტკიცებელი საბუთი; 14. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი; 19. ლეჩხუმსა და სამეგრელოში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 21. ვაშინგტონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია აშშ-ის დაზვერვის ცენტრი; 23. ხარებშებმული ორთვლიანი საზიდარი; 24. ნახევარწრედ გამოწეული ნაწილი ქრისტიანული ბაზილიკის ნაგებობაში; 25. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 26. იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## fcnhjgjhjuyjpb

### 1 სექტემბერი – მშვენიერი დღეა

**ვერძი** – ცხოვრება გეცვლებათ და გიხარიათ. **კურო** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** – სიახლის განცდა არ გტოვებთ. **კირჩხიბი** – ფული გაქვთ, მაგრამ ცოტა სხვა დროისთვის შემოინახეთ. **ლომი** – დაწინაურება და ფული გელოდებათ. **ქალწული** – რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **სასწორი** – სახლში დიდი სიხარული გელით. **ღრიანკალი** – საღამოს მნიშვნელოვანი შეხვედრა დიდ სიკეთეს მოგიტანთ. **მშვილდოსანი** – ფული არ გაქვთ, მაგრამ მალე გექნებათ. **თხის რქა** – არ გადაიღალოთ, მხოლოდ აუცილებელი საქმე აკეთეთ. **მერწყული** – ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას გრძნობთ. **თევზები** – საქმე კარგად წაგივათ, გახარებული ხართ.

### 2 სექტემბერი – უჩვეულო დღეა

**ვერძი** – დღეს სხვა საქმის კეთება გსურთ, ორიგინალურის. **კურო** – არ გადაიღალოთ, თავს მიხედეთ. **ტყუპები** – ახალი შეგრძნება გამოგაფხიზლებთ. **კირჩხიბი** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ლომი** – ახალ პროექტში მონაწილეობა თქვენთვის მომგებიანი აღმოჩნდება. **ქალწული** – არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** – ყურადღების ცენტრში ხართ და ეს მოგწონთ. **ღრიანკალი** – ნუ აყვებით სხვებს, თავს მიხედეთ. **მშვილდოსანი** – წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** – ახალ საქმეს მოჰკიდებთ ხელს, წარმატება არ აგცდებათ. **მერწყული** – ფული გაქვთ, პრობლემას კი მოევლება. **თევზები** – ვიღაც იგნორირებას გიპირებთ, მოემზადეთ.

უზცეჳღტ,ს ,ტღყზტჳ ღქტც=

## ახლა ინიესტას დროა



მონაკოში, უეფას ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის კენჭისყრის წინ დაასახელეს უეფას ვერსიით ევროპის 2011-12 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი. ამ ტიტულის მფლობელი „ბარსელონასა“ და ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი ანდრეს ინიესტა გახდა.

28 წლის ესპანელმა ფეხბურთელმა უეფას ყველა ეროვნული ასოციაციის წარმომადგენელი ჟურნალისტის გამოკითხვაში „ბარსელონაში“ თანაგუნდელ ლიონელ მესისა და მადრიდის „რეალის“ ფორვარდ კრიშტიანო რონალდოს გადაუსწრო.

რაც შეეხება კენჭისყრას, უეფას ჩემპიონთა ლიგის 2012-2013 წლების სეზონის მონაწილე გუნდები 8 ჯგუფში გადანაწილდნენ. ევროპის ყველაზე პრესტიჟული ტურნირი სტარტს 18 სექტემბრიდან აიღებს.

ა ჯგუფი: პორტუ, დინამო (კ), პსჟ, დინამო (ზ);

ბ ჯგუფი: არსენალი, შალკე, ოლიმპიაკოსი, მონპელიე;

ც ჯგუფი: მილანი, ზენიტი, ანდერლეხტი, მალაგა;

დ ჯგუფი: რეალი, სიტი, აიაქსი, დორტმუნდი;

ე ჯგუფი: ჩელსი, შახტარი, იუვენტუსი, ნორდსიელანდი;

ფ ჯგუფი: ბაიერნი, ვალენსია, ლილი, ბატე;

ჯ ჯგუფი: ბარსელონა, ბენფიკა, სპარტაკი (მ), სელტიკი;

ჰ ჯგუფი: მანჩესტერი, ბრაგა, გალათასარაი, კლუჟი.

## შოკოლადი მამაკაცებს ინსულტისაგან იცავს



შვედმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ შოკოლადი მამაკაცებში ინსულტის რისკ ამცირებს.

გამოკვლევა 10 წელი გრძელდებოდა და ამ დროის განმავლობაში მეცნიერების მიერ ორგანიზებულ გამოკითხვებში 49-დან 75 წლამდე ასაკის 37.1 ათასმა მამაკაცმა მიიღო მონაწილეობა. ამ დროის განმავლობაში რეგისტრირებული იყო პირველადი ინსულტის 1995 შემთხვევა.

მიღებული მონაცემების გაანალიზების შედეგად გაირკვა, რომ ინსულტის რისკის შესამცირებლად კვირაში არანაკლებ 64 გრამი შოკოლადის მიღებაა საჭირო.

შოკოლადის დადებით მოქმედებას მეცნიერები მის შემადგენლობაში შემავალ ფლავონოიდებს უკავშირებენ. ანტიოქსიდანტური და ანთების საწინააღმდეგო თვისებების მქონე ეს ნივთიერებები გულსისხლძარღვთა სისტემის დამცველებად არიან მიჩნეული. მეცნიერების აზრით, მათ, გარდა ამისა, სისხლის წნევისა და სისხლში „ცუდი“ ქოლესტერინის შემცველობის შემცირება შეუძლიათ.

მეცნიერები წარსულში მხოლოდ შავი შოკოლადის სასარგებლო თვისებების შესახებ საუბრობდნენ, თუმცა შვედეთში მოხმარებული შოკოლადის 90% რძიან შოკოლადზე მოდის.

გ.თ.

## სამმაგი ბედნიერება



ბრაზილიის საო პაოლოს შტატის ნოტარიუსმა, რომელმაც ოფიციალურად დაადასტურა ერთი მამაკაცის სამოქალაქო ქორწინება ერთდროულად ორ ქალთან, დიდი სკანდალი გამოიწვია.

ნოტარიუსს მიაჩნია, რომ იურიდიული თალისაზრისით არ არსებობს რაიმე დაბრკოლება, რომელიც ასეთ კავშირს შეუშლიდა ხელს. ნოტარიუს კლაუდია დუ ნასიმენტუ დომინგეშის აზრით, ამ კავშირს ოჯახის უფლებები უნდა მიენიჭოს. ნატანიელ სანტუშ ბატისტა ჟუნიორმა, იურისტმა, რომელიც დოკუმენტის შედგენაში მონაწილეობდა, განაცხადა, რომ მის მიერ დადასტურებული დოკუმენტი განქორწინების ან ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალების შემთხვევაში შეთანხმების მონაწილეთა უფლებების დაცვას ისახავდა მიზნად.

სამეული, რომლის ერთობამაც იურიდიულ სფეროში ასეთი აურზაური გამოიწვია, რიო დე ჟანეიროში უკვე სამი წელია ერთ ბინაში ცხოვრობს. ისინი ერთად იხდიან კომუნალურ გადასახადებს, ერთად უძღვებიან მეურნეობას. მათ ერთი საბანკო ანგარიში აქვთ, რაც ასევე არ იკრძალება კანონით.

ტელეარხ „გლობო თივის“ ინფორმაციით, კავშირი ოფიციალურად სამი თვის წინ დარეგისტრირდა, თუმცა მის შესახებ ინფორმაცია ერთი კვირის წინ გავრცელდა. დომინგეშის თქმით, დღევანდელ დღეს ცნება „ოჯახის“ მნიშვნელობა შეიცვალა. მას რაიმე ახალი არ გამოუგონებია და, უბრალოდ, არსებული რეალობის რეგისტრირება მოახდინა.

„კარგია თუ ცუდი, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ის, რაც ადრე გვეგონა ოჯახი, დღეს აღარ ემთხვევა იმას, რასაც ოჯახი ჰქვია დღეს“, – მიაჩნია ნოტარიუსს. იურისტების ერთმა ნაწილმა ნოტარიუსის გადაწყვეტილებას აბსურდული და სრულიად უკანონო უწოდა, რაც ბრაზილიურ მორალსა და ფასეულობებს ძირფესვიანად ეწინააღმდეგება. ერთ-ერთი ადვოკატის, რეგინა ბეატრიზ ტავარეშ და სილვას, ადვოკატთა ინსტიტუტში ოჯახის უფლებების კომისიის ხელმძღვანელის თქმით, მსგავსი კავშირი ანულირებული იქნება.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ცნობენ თუ არა ასეთ კავშირს სასამართლო და კერძო კომპანიები, მათ შორის დაზღვევის სფეროში მომუშავე ფირმები.

გ.თ.